

მათემატიკა 9

მასწავლებლის წიგნი

**ნანა ჯაფარიძე
ნანი წულაია
მაია წილოსანი**



სულაკაურის
განმანათლებლო
სისტემის განვითარების
სააგენტო

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....	6
სახელმძღვანელოს შესახებ.....	7
მათემატიკა საბაზო საფეხურზე.....	9
შინაარსისა და მიზნების რუკა.....	31
გამეორება.....	34
თემატური მატრიცა.....	34
I თავი	
თემატური მატრიცა.....	44
1.1 არასრული კვადრატული განტოლება.....	53
1.2. კვადრატული განტოლების ამონახსენთა ფორმულები.....	54
2. ზოგიერთი მეორე ხარისხის უტოლობის ამოხსნა.....	55
3. ვიეტას თეორემა.....	56
4. კვადრატული სამწევრის დაშლა მამრავლებად.....	57
I თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	58
II თავი	
თემატური მატრიცა.....	61
1. ქორდის მართობული დიამეტრის თვისება.....	70
2. წრენილის მხები.....	70
3. ორი წრენილის ურთიერთმდებარეობა.....	71
4. წრენილში ჩახაზული და წრენილზე შემოხაზული სამკუთხედები.....	72
5. წრენილის რკალი.....	73
6. ჩახაზული კუთხე.....	74
7. მხებითა და ქორდით შედგენილი კუთხე.....	75
8. მართკუთხა სამკუთხედის თვისებები.....	76
9. ორი წრენილის საერთო შიგა და საერთო გარე მხები.....	77
10. წრენილში ჩახაზული ოთხკუთხედი.....	78
11. წრენილზე შემოხაზული ოთხკუთხედი.....	79
12. პროპორციული მონაკვეთები წრეში.....	80
13. წესიერი მრავალკუთხედები.....	80
14. წრენილის სიგრძე, წრის ფართობი.....	81
15. რამდენიმე საინტერესო ამოცანა.....	82
II თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	83
III თავი	
თემატური მატრიცა.....	89
1. ღერძული სიმეტრია.....	98
2. ცენტრული სიმეტრია.....	99
3. პარალელური გადატანა.....	100
4. ფუნქცია, ფუნქციათა თვისებები.....	101
5. წრფივი ფუნქცია.....	103

6. ამოვიცნოთ წრფივი ფუნქცია.....	105
III თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	106
IV თავი	
თემატური მატრიცა.....	108
1. კვადრატული ფუნქცია.....	121
2. $y=x^2$ ფუნქცია.....	121
3. $f(x)=x^2+c$ ფუნქცია.....	122
4. $f(x)=(x-d)^2+c$ ფუნქცია.....	123
5. $y=ax^2$ ფუნქციის გრაფიკი.....	124
6. $y=ax^2+bx+c$ ფუნქციის გრაფიკი.....	125
8. პარაბოლის მდებარეობა საკოორდინატო ღერძების მიმართ.....	126
9. კვადრატული ფუნქციის უდიდესი და უმცირესი მნიშვნელობა.....	127
10. კვადრატული უტოლობის ამოხსნა.....	128
11. ამოვხსნათ ერთუცნობიან უტოლობათა სისტემა.....	129
12. ორუცნობიანი უტოლობის ამოხსნა.....	130
13. მეორე ხარისხის ორუცნობიან განტოლებათა სისტემის ამოხსნა.....	131
IV თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	132
V თავი	
თემატური მატრიცა.....	138
1. სამკუთხედების მსგავსება.....	149
2. სამკუთხედების მსგავსების I ნიშანი.....	150
3. სამკუთხედების მსგავსების II ნიშანი.....	151
4. სამკუთხედების მსგავსების III ნიშანი.....	152
5. პროპორციული მონაკვეთები მსგავს სამკუთხედებში.....	153
6. მსგავსი სამკუთხედების ფართობების შეფარდება.....	153
8. მსგავსების მეთოდი გეომეტრიულ აგებებში.....	155
V თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	156
VI თავი	
თემატური მატრიცა.....	161
1. რიცხვითი მიმდევრობა.....	170
2. არითმეტიკული პროგრესია.....	171
3. არითმეტიკული პროგრესიის პირველი n წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულა.....	172
4. გეომეტრიული პროგრესია.....	174
6. გეომეტრიული პროგრესიის პირველი n წევრის ჯამის გამოსათვლელი ფორმულა.....	175
VI თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	177

VII თავი

თემატური მატრიცა.....	178
კომპლექსური დავალება.....	185
1. კომბინატორიკის ამოცანები.....	185
2. გადანაცვლება, წყობა.....	187
3. ჯუფთება.....	188
4. ალბათობის კლასიკური განმარტება.....	189
5. ამოვხსნათ ამოცანები ალბათობათა თეორიიდან.....	190
6. ფოთლებიანი ღეროების მსგავსი დიაგრამა.....	193
VII თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	194

VIII თავი

თემატური მატრიცა.....	199
1. ვექტორის ცნება. ტოლი ვექტორები.....	209
2. ვექტორების შეკრება.....	209
3. ვექტორების სხვაობა.....	209
4. ვექტორის გამრავლება რიცხვზე.....	210
5. ვექტორის კოორდინატები.....	211
6. ვექტორის კოორდინატები.....	212
8. მართობი, დახრილი, გეგმილი. მანძილი ნერტილიდან სიბრტყემდე.....	213
9. სივრცული სხეულები.....	214
9.1. პრიზმა, ცილინდრი.....	214
9.2. პირამიდა, კონუსი.....	214
VIII თავის დამატებითი სავარჯიშოები.....	215
შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები.....	219

შესავალი

IX კლასში მათემატიკის საგნის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში კვლევის ჩვევის, აგრეთვე ანალიტიკური, ლოგიკური, სისტემური და სიმბოლური აზროვნების გამომუშავება. მათემატიკის სწავლამ მოსწავლეს უნდა შესძინოს ის უნარ-ჩვევები, რომლებიც მას დაეხმარება ცხოვრებისეული, პრაქტიკული პრობლემების გადაჭრაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის დანიშნულებაა დაეხმაროს სასკოლო განათლების პროცესის მონაწილეებს ამ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში.

ეროვნულ სასწავლო გეგმაში აღწერილია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა მოსწავლე სასწავლო წლის დასრულების მერე. ეს მოთხოვნები თითოეული მიმართულებისათვის შედეგებისა და მათი ინდიკატორების ენაზეა ჩამოყალიბებული.

შედეგი არის დებულება იმის შესახებ, თუ რა უნდა შეძლოს მოსწავლემ სწავლის მოცემული საფეხურის დასრულების შემდეგ.

ინდიკატორი არის დებულება იმ ცოდნისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია შესაბამის შედეგში. ინდიკატორის ძირითადი დანიშნულებაა იმის წარმოჩენა, მიღწეულია თუ არა შედეგი. ინდიკატორი ორიენტირებულია უნარ-ჩვევებზე და ჩამოყალიბებულია აქტივობის ენაზე.

IX კლასის წარმოდგენილი სახელმძღვანელოს დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

სახელმძღვანელო ფარავს სტანდარტის ყველა შედეგს.

მასალის მიწოდების ძირითადი მეთოდური ორიენტირია პრობლემური თხრობა. მოსწავლე არის გაკვეთილის ახსნის აქტიური მონაწილე.

გაგაცნობთ წიგნის სტრუქტურას:

თითქმის ყველა პარაგრაფი იწყება სიტუაციური ამოცანით, მაპროგოცირებელი შეკითხვით ან ისეთი ამოცანით, რომელიც მოსწავლისაგან კვლევას მოითხოვს და რომელიც იძლევა ვარაუდის გამოთქმის საშუალებას. გაკვეთილის ეტაპები გამოყოფილია აქტივობებით, რითიც მოწმდება ახალი მასალის ათვისების ხარისხი. ვარსკვლავით მონიშნულია ამოცანები მაღალი შეფასებისათვის.

მასწავლებლის სარეკომენდაციო წიგნში მოცემულია ამოცანების ამოხსნის ნიმუშები, აქტივობების მიზანი, დანიშნულება, სავარაუდო და სწორი პასუხები, საკონტროლოს ნიმუშები. მოცემულია შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, დამხმარე ლიტერატურა მასწავლებლისათვის.

აგრეთვე, გთავაზობთ სავარაუდო საათობრივ ბადეს. სარეზერვო საათები გვაძლევს საშუალებას, რომ ზოგიერთ გაკვეთილს მასწავლებელმა მეტი დრო დაუთმოს, გამოიყენოს თავისი შეხედულებისამებრ.

სახელმძღვანელოს შესახებ

მიზანი

IX კლასში მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზანია მოზარდში აზროვნების უნარის განვითარება, ლოგიკური და კრიტიკული დამოკიდებულების ჩამოყალიბება, მათემატიკის იმ „ანბანის“ ათვისება და გათავისება, რომელზეც უნდა დაშენდეს შემდგომი ცოდნა.

მოსწავლის წიგნის სტრუქტურა

სახელმძღვანელო დაყოფილია თავებად. ყოველი თავი დაყოფილია პარაგრაფებად. აქედან თითოეულს ახლავს „ტესტი თვითშემოწმებისათვის“ და თავის დამატებითი სავარჯიშოები, რომლებიც, ერთი მხრივ, გავლილი მასალის გამყარებასა და ღრმად გააზრებას ემსახურება, მეორე მხრივ კი – იმ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას, რაც მათ მოამზადებს მათემატიკის „სილამაზის“, ლოგიკისა და თანმიმდევრულობის აღსაქმელად.

არასტანდარტულად დასმული ამოცანა ან შეკითხვა მოსწავლის მხრიდან იწვევს ერთგვარ შიშს, თუ ის ამას მიჩვეული არ არის. მათი დაძლევა და სირთულეების გადალახვა მოსწავლეში იწვევს თავდაჯერებულობას, აცხოველებს ინტერესსა და მათემატიკის სიყვარულს. ამის გათვალისწინებით, IX კლასში მოსწავლის წიგნში შევიდა არასტანდარტული ამოცანები. მათი დაძლევა მერვეკლასელებს აღარ გაუჭირდებათ, ვინაიდან წინა კლასებში უკვე აკეთებდნენ მსგავს ამოცანებს მასწავლებლის მითითებით. ეს ამოცანები საშუალებას იძლევა, მასწავლებელს ხელთ ჰქონდეს სამუშაო იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც კლასთან შედარებით უფრო სწრაფად ითვისებენ მასალას. ზემოხსენებული ამოცანები ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესის გაღვიძებას, კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას, პრობლემებისადმი სხვადასხვა მიდგომას. მათი ხშირად ჩართვა საგაკვეთილო პროცესში ხელს შეუწყობს მათემატიკურ წრეებში მუშაობას (თუ ასეთი წრეები არსებობს სკოლაში) ან ნაწილობრივ მაინც შეასრულებს ამ ფუნქციას, წრის არარსებობის შემთხვევაში. მასწავლებელს თავადაც შეუძლია, შეადგინოს მსგავსი ამოცანები მოცემული ნიმუშების მიხედვით. ამ ამოცანათა ამოხსნის ჩვენ მიერ შემოთავაზებული ხედვა დაეხმარება მასწავლებელს და შესძინს არასტანდარტული ამოცანების ამოხსნის ხერხების გამოყენების გამოცდილებას, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს მის პროფესიულ განვითარებას.

წიგნის დასაწყისში მოცემულია ტესტები და ისინი განვლილი მასალის გამეორებას ემსახურება. მასწავლებელს შეუძლია, საკუთარი შეხედულებისამებრ დაუთმოს მათ დრო და ეტაპობრივად მიაწოდოს მოსწავლეებს.

ჩვენი რეკომენდაციით:

ა) პირველი თავის შესწავლის წინ სასურველია 1-ლი, მე-2 და მე-3 ტესტების მიწოდება - მოსწავლეები გაიხსენებენ რიცხვით სისტემებს, პროპორციას, პროცენტს; ამოხსნიან გამოთვლებთან და რაოდენობის შეფასებასთან დაკავშირებულ ამოცანებს;

ბ) მესამე თავის წინ ტესტი 5 მივანოდოთ, რომელიც ფუნქციასა და მასთან დაკავშირებულ ცნებებს გაახსენებს მოსწავლეებს;

გ) მეოთხე თავის წინ მოსწავლეებს გავახსენოთ უტოლობა - ტესტი 7;

დ) მეშვიდე თავის წინ გავახსენოთ ლოგიკის ელემენტები - ტესტი 8;

ე) გეომეტრიისთვის განკუთვნილი მე-9, მე-10 და მე-11 ტესტები მივანოდოთ, შესაბამისად, გეომეტრიის მეორე, მეხუთე და მერვე თავებისთვის.

ახალი მასალის უკეთ ათვისების მიზნით მოსწავლის წიგნში გაკვეთილების უმეტესობა მთავრდება რუბრიკით „მოვემზადოთ შემდეგი გაკვეთილისთვის“. ამ რუბრიკის სავარჯიშოები მოსწავლეებს დაეხმარება წინარე ცოდნის გამოყენებით ახალი მასალის უკეთ ათვისებაში.

მეთოდика

პარაგრაფის სტრუქტურა მაქსიმალურად უზრუნველყოფს მოსწავლის ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში. ყოველი პარაგრაფი იწყება მოსწავლეებისთვის (ინდივიდუალურად ან წყვილებში) განკუთვნილი დავალებით, რომლის გადაწყვეტის შემდეგაც მოზარდი მზადაა ახალი მასალის ასათვისებლად, რომლის გააზრებასა და ათვისებას ხელს უწყობს პარაგრაფში ჩართული „ინდივიდუალური კითხვები“, რომლებიც ზოგ პარაგრაფში რამდენიმე ადგილას გვხვდება (იმის მიხედვით, თუ რამდენად ითხოვს ამას პარაგრაფში გადმოცემული მასალა). ამავე დროს, მოსწავლესა და მასწავლებელს ეხმარება იმის შეფასებაში, თუ რამდენადაა ათვისებული და გააზრებული ესა თუ ის თემატური მომენტი.

მოსწავლის წიგნში მრავლადაა სხვადასხვა აქტივობის შემცველი დავალებები: პროექტი, პრაქტიკული სამუშაო...

პარაგრაფის ეს სტრუქტურა უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილის ჩატარებას, სადაც მასწავლებელი არ არის მასალის გადმომცემი და მოსწავლე – პასიური მსმენელი.

მოსწავლე აქტიურად მონაწილეობს საგაკვეთილო პროცესში. ყოველი დასკვნა, განმარტება და წესი ყალიბდება მოსწავლეებისა და მასწავლებლის ერთობლივი ძალისხმევით. ყოველ თავს ახლავს ერთი ან ორი „ტესტი თვითშემოწმებისთვის“, რომელთა დანიშნულებაცაა არა მხოლოდ ტესტში მოცემული დავალებების შესრულება, არამედ მოსწავლის მიერ საკუთარი თავის შეფასება.

მასწავლებლის წიგნის სტრუქტურა

მასწავლებლის წიგნში მოცემულია მკაფიო მითითებები და ამოხსნები ყოველი თავისთვის განკუთვნილი საკონტროლო წერის ნიმუშებითურთ. გაკვეთილის მსვლელობა პარაგრაფის სტრუქტურითაა უზრუნველყოფილი, მაგრამ მასწავლებელს შეუძლია, შეცვალოს იგი შეხედულებისამებრ.

მასწავლებლის წიგნში, ასევე, მოცემულია შეფასების სისტემა, მიზნებისა და შედეგების რუკა, თემატური მატრიცები.

მასწავლებლის წიგნის ბოლოს მოცემულია შემაჯამებელი სამუშაოს ნიმუშები და მოსწავლის წიგნში შესული ამოცანების/სავარჯიშოების, მათ შორის, რუბრიკის – „ამოცანები მათემატიკის მოყვარულთათვის“ – პასუხები.

მათემატიკა საბაზო საფეხურზე

შესავალი

საბაზო საფეხურის მათემატიკის სტანდარტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები;
- ბ) სტანდარტის შედეგები და შინაარსი;
- გ) მეთოდური ორიენტირები;
- დ) შეფასება.

საბაზო საფეხურზე საგანი „მათემატიკა“ რიცხვებზე მოქმედებების, ალგებრის, გეომეტრიის, მონაცემთა ანალიზისა და სტატისტიკის, ალბათობის შესწავლას გულისხმობს.

საგნის სწავლა-სწავლებისას მოსწავლე ჩართული იქნება აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას მისცემს.

ა) საგნის სწავლა-სწავლების მიზნები

საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლების ძირითადი მიზნებია:

მოსწავლე მათემატიკის მეშვეობით დაეუფლოს აბსტრაქტული, ლოგიკური და კრიტიკული აზროვნების ხერხებს;

მოსწავლე დაეუფლოს მათემატიკის ენას – უნივერსალურ საშუალებას არა მარტო მათემატიკის, არამედ სხვა მეცნიერებებისა და სამყაროს შესაცნობად, ლოგიკური კავშირების/ბმების დასანახად;

მოსწავლემ შეძლოს რეალური პრობლემების გადაჭრა მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით.

ამ მიზნებზე მუშაობით მათემატიკა თავის წვლილს შეიტანს ეროვნული სასწავლო გეგმის მისიისა და მიზნებით გათვალისწინებული უნარებისა და ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებაში.

ბ) სტანდარტის შედეგები

მათემატიკის პროგრამის შედეგები

სტანდარტის შედეგები

პროგრამის შედეგები: საგნის სწავლა-სწავლების მიზნებიდან გამომდინარეობს, კითხვები: რა უნდა შეეძლოს მოსწავლეს მათემატიკაში საბაზო საფეხურის ბოლოს.

შედეგები ჯგუფდება სამ მიმართულებად:

- ✓ მსჯელობა - დასაბუთება
- ✓ მათემატიკური ენა, კომუნიკაციის მათემატიკური ხერხები, კავშირები
- ✓ მათემატიკური მოდელირება, პრობლემების გადაჭრა

სტანდარტი		
შედეგების ინდექსი	შედეგები - მოსწავლემ უნდა შეძლოს: მსჯელობა - დასაბუთება	მკრო ცნებები დაკავშირებული შედეგებს
1	მათემატიკური ან სხვა საგნებიდან მომდინარე ამოცანების განხილვისას ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, მათი მართებულობის დადგენა ან უარყოფა;	რაოდენობრივი მსჯელობა (შედეგი: 1, 2, 3, 8, 9, 10, 11)
2	მსჯელობის ხაზის განვითარება; განზოგადებით ან დედუქციით მიღებული დასკვნების დასაბუთება.	ლოგიკა (შედეგი: 1, 2, 3, 4, 5, 9, 10)
მათემატიკური ენა, კომუნიკაციის მათემატიკური ხერხები, კავშირები		ფორმა და წარმოდგენა (შედეგი: 3, 5, 6, 7, 9, 11)
3	მათემატიკური ობიექტების განსაზღვრებებისა და თვისებების სწორად ჩამოყალიბება; მათემატიკური ტერმინების, აღნიშვნებისა და სიმბოლოების კორექტულად და ლოგიკურად გამოყენება.	ზომა/გაზომვები (შედეგი: 2, 8, 9, 11)
4	მათემატიკურ დებულებათა ფორმულირების ხერხების კორექტულად გამოყენება;	კანონზომიერება (შედეგი: 2, 5)
5	მათემატიკურ იდეებს შორის კავშირის დადგენა. მათემატიკასა და სხვა საგნებს შორის კავშირების დადგენა.	კავშირები (შედეგი: 2, 4, 5, 7, 10)
6	გრაფიკულად გადმოცემული მათემატიკური შინაარსის ინფორმაციის წაკითხვა; მათემატიკური ობიექტების გრაფიკული ხერხით (გრაფიკების, დიაგრამების და ნახაზების სახით) წარმოდგენა.	მოდელი/მოდელები (შედეგი: 6, 7, 11)
მათემატიკური მოდელირება, პრობლემების გადაჭრა		კვლევა (შედეგი: 1, 10, 11)
7	ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული ობიექტებისა და პროცესების მათემატიკური ფორმულირება, წარმოდგენა გამოსახულების, განტოლების, გრაფიკის სახით.	განზოგადება

	მათემატიკური მოდელის შექმნა და არსებული რეალური საკითხის აღნიშნული გზით გადაჭრა. კვლევის დაგეგვმა, პროცედურის, მონაცემების აღრიცხვის ფორმების განსაზღვრა, სათანადო რესურსების შერჩევა);	
8	ამოცანის შინაარსის აღქმა, ამოცანის მონაცემებისა და საძიებელი სიდიდეების გააზრება-გამიჯვნა, პრობლემის გამოკვეთა და მისი ჩამოყალიბება;	
9	კომპლექსური (რთული) პრობლემის საფეხურებად, მარტივ ამოცანებად დაყოფა და ეტაპობრივად გადაჭრა/ამოხსნა;	
10	ამოცანის ამოხსნის შემდეგ მიღებული შედეგის კრიტიკული შეფასება, ანალიზი, ამოცანის კონტექსტის გათვალისწინებით.	
11	ტექნოლოგიების გამოყენება მათემატიკური პრობლემის ამოხსნისთვის. ტექნოლოგიების გამოყენებით საკითხის ვიზუალური წარმოდგენა, მოდელის შექმნა. კომპიუტერული აპლიკაციების გამოყენება მათემატიკური პრობლემის გადაჭრისთვის.	

სასწავლო შედეგების მრავალფეროვნება

თითოეული სასწავლო თემის ფარგლებში უნდა მოხდეს მოსწავლის შესაძლებლობების გათვალისწინება

მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები

მკვიდრი წარმოდგენების საფუძველზე შედგენილი შედეგები შედეგნილი შემდეგი შემდეგი დაგეგმარება სამიზნე ცნების შეფასებაში. სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენის საფუძველზე შეიძლება განისაზღვროს კონკრეტულ საკითხთან /სასწავლო თემასთან მიმართებით რა არის არსებითად გასააზრებელი, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს კომპლექსური დავალების/ტესტი შეფასებაში და მიზნის მიღწევაში.

დანართი 2:

ცნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები	შეფასების კრიტერიუმები კომპლექსური დავალებისთვის	შეფასების კრიტერიუმები მოსწავლეს შეუძლია:
<p>სამიზნე ცნება /</p> <p>გნებასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p> <p>მიმართულება რიცხვები</p> <p>1). სიმრავლე, რიცხვითი სიმრავლეები და მათი თვისებები</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ნატურალური რიცხვების, მთელი და წილადი რიცხვების გაადა არსებობს ირაციონალური რიცხვები. ▪ რიცხვების წარმოდგენა/წაწერა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით. ▪ სიმრავლეებზე მოქმედებების წარმოდგენა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით (კენის დიაგრამა, რიცხვითი ღერძი და ა.შ.) ▪ მათემატიკურ პრობლემასთან მუშაობისას მათემატიკური ოპერაციების გამოყენებით, მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვით, ასევე ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია, ზუსტი ან მიახლოებითი ამოხსნების მოძიება; <p>2). ფარდობა, პროპორცია, პროცენტი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ფარდობა აღდგენს შესაბამისობას ორ რაოდენობას (სიდიდეს) შორის. ▪ პროცენტი - ნიშნავს ყოველ მეცხედში, წარმოდგენს ფარდობას რომლის მნიშვნელო ყოველთვის 100-ია. 	<p>ნაშრომში / ნაშრომის პრეზენტაციისას ხაზგასმით წარმოაჩინეთ:</p> <p>1). სიმრავლე, რიცხვითი სიმრავლეები და მათი თვისებები</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ განსხვავდება რიცხვები ერთმანეთისაგან? რამ გამოიწვია რაციონალური რიცხვის არსებობა? მთელი რიცხვის არსებობა? ▪ როგორ არის შესაძლებელი სხვადასხვა ფორმით წარმოდგენილი ურთიერთდაკავშირება. ▪ რაში გვეხმარება სიმრავლეებზე მოქმედებების წარმოდგენის სხვადასხვა ფორმები. ▪ წარმოაჩინე, რომ წილადებზე და სასრულ ათწილადებზე მოქმედებების განსაზღვრება შესაძლებელია თვალსაჩინოების გამოყენებით. ▪ რატომ არის აუცილებელი მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვა. როგორ გვეხმარება ტექნოლოგიები ზუსტი ან მიახლოებითი გამოთვლების შესასრულებლად. <p>2). ფარდობა, პროპორცია, პროცენტი</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ რომ ფარდობა არის ორ სიდიდეს შორის (რაოდენობას) შესაბამისობა; 	<p>შეფასების კრიტერიუმები</p> <p style="text-align: center;">მოსწავლეს შეუძლია:</p> <p>1). სიმრავლე, რიცხვითი სიმრავლეები და მათი თვისებები</p> <ul style="list-style-type: none"> • რაოდენობრივი მსჯელობის, რიცხვითი გამოსახულებებთან მუშაობის დროს მოქმედებათა თანმიმდევრობის დაცვა. • რიცხვების წარმოდგენა სხვადასხვა ფორმით • გამოთვლებთან და რაოდენობის შეფასებასთან დაკავშირებული ამოცანების ამოხსნა <p>2). ფარდობა, პროპორცია, პროცენტი</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისობის დადგენა ორ რაოდენობას შორის • პროცენტის გამოთვლა • პროპორციული დამოკიდებულების ჩაწერა და ამოცანის ამოხსნა პროპორციის მეშვეობით.

<ul style="list-style-type: none"> პროპორციული დამოკიდებულება გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება რაოდენობები ერთმანეთთან დაკავშირებით. აღნიშნული მიმართებაში/დამოკიდებულებაში, აღნიშნული დამოკიდებულება შეიძლება წამორდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. 	<ul style="list-style-type: none"> როგორ გამოითვლება პროცენტი; რას ნიშნავს პროცენტი, პროცენტული ცვლილება. პროცენტის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ როგორ იცვლება რაოდენობები ერთმანეთთან მიმართებაში პროპორციული დამოკიდებულებების დროს; რომ პროპორციული დამოკიდებულება შეიძლება წამორდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. 	<p>3). ალგებრული გამოსახულება</p> <ul style="list-style-type: none"> რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის / სიტუაციის მოდელირება (ფორმულირება) გამოსახულების გამართების შედეგად ეკვივალენტური ფორმის მიღება <p>4) განტოლება, უტოლობა</p> <p>მათემატიკური სამუშაოს შესრულება:</p> <ol style="list-style-type: none"> რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის ან პრობლემის გადაჭრა მათემატიკის დახმარებით მათემატიკის ფორმულები წესების გამოყენებით, განტოლებით ამოხსნა, პრობლემის გადაჭრა და პასუხის დასაბუთება; (უტოლობის
<ul style="list-style-type: none"> როგორ გამოითვლება პროცენტი; რას ნიშნავს პროცენტი, პროცენტული ცვლილება. პროცენტის მნიშვნელობა ყოველდღიურ ცხოვრებაში თუ როგორ იცვლება რაოდენობები ერთმანეთთან მიმართებაში პროპორციული დამოკიდებულებების დროს; რომ პროპორციული დამოკიდებულება შეიძლება წამორდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. 	<p>3). ალგებრული გამოსახულება</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ წარმოადგინე მათემატიკური სიტუაცია ცვლადების, სიმბოლოების, დიაგრამის და შესაბამისი სტანდარტული მოდელების საშუალებით როგორ არის შესაძლებელი მათემატიკური ასპექტების გამოყოფით, მნიშვნელოვანი ცვლადების იდენტიფიცირებით და რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის/ სიტუაციის მოდელირება? კავშირი ეკვივალენტურ ფორმებს შორის; რა ნიშნავს გამოსახულების გამართება? 	<p>4). განტოლება, უტოლობა</p> <p>როგორ ხდება რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის მათემატიკური წარმოდგენა და მათემატიკური სამუშაოს შესრულება:</p> <ol style="list-style-type: none"> როგორ ხდება რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების მათემატიკური მოდელირება. გადაჭრებით რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესი/პრობლემა მათემატიკური მოდელის დახმარებით. როგორ ხდება მათემატიკური ცოდნის: წესების, ფორმულების, ალგორითმის მეშვეობით პრობლემის გადაჭრა.
<ul style="list-style-type: none"> პროპორციული დამოკიდებულება გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება რაოდენობები ერთმანეთთან დაკავშირებით. აღნიშნული მიმართებაში/დამოკიდებულებაში, აღნიშნული დამოკიდებულება შეიძლება წამორდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით. 	<p>მიმართულება: ალგებრა</p> <p>3). ალგებრული გამოსახულება</p> <ul style="list-style-type: none"> სიტუაციის მათემატიკური წარმოდგენა შესაძლებელია: ცვლადების, სიმბოლოების, დიაგრამის და შესაბამისი სტანდარტული მოდელების გამოყენებით; რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის მოდელირება (ფორმულირება) შესაძლებელია სიტუაციიდან მათემატიკური ასპექტების გამოყოფით, მნიშვნელოვანი ცვლადების იდენტიფიცირებითა და აღნიშვნით, ასევე ცვლადებს შორის ურთიერთმიმართების დადგენით. გამართებებისა და შესაბამისი ოპერაციების შესრულების შედეგად მიიღება ალგებრული გამოსახულების ეკვივალენტური ფორმა. 	<p>4). განტოლება, უტოლობა</p> <p>რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის მათემატიკური წარმოდგენა და მათემატიკური სამუშაოს შესრულება:</p> <ol style="list-style-type: none"> ცვლადების, სიმბოლოების, დიაგრამის და შესაბამისი სტანდარტული მოდელების, ფორმულის (განტოლების, გამოსახულების) გამოყენების შემდეგ, შესაძლებელია რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესის მათემატიკური წარმოდგენა (მოდელირება)

<p>2. მათემატიკური ცოდნის: ფაქტების, წესების, ალგორითმების ცოდნით შესაძლებელია ამონახსნის/პასუხის მისაღება, პრობლემის გადაჭრა და პასუხის დასაბუთება.</p> <p>3. პრობლემის გადასაჭრელად უამრავი სტრატეგია არსებობს, ზოგიერთი სტრატეგია მეტად ეფექტურია, ზოგიერთი ნაკლებად.</p> <p>4. განტოლებაში (უტოლობაში) შესაბამისი ოპერაციების განხორციელების შედეგად მიიღება ტოლფასი განტოლება (უტოლობა).</p>	<p>3. ალგორითმი, რომელიც დაგეხმარა პრობლემის გადაჭრაში; რა სტრატეგია გამოიყენეთ და როგორ ახდენთ პასუხის დასაბუთებას</p> <p>4. რომელი პროცედურების და გამარტივების შესაძლებელია განტოლება/უტოლობა შეიცვალოს ტოლფასი განტოლება/უტოლობით;</p>	<ul style="list-style-type: none"> პრობლემის გადაჭრის დროს სიტუაციის გათვალისწინება/გაანალიზება და შესაბამისი სტრატეგიის შერჩევა. განტოლებაში (უტოლობაში) ალგებრული მანიპულაციების დახმარებით ტოლფასი განტოლების მიღება
<p>5). დამოკიდებულება, ფუნქცია, გრაფიკი</p> <ul style="list-style-type: none"> მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს აღწერს მათემატიკური ცნებების და ენის გამოყენებით. როგორ ხდება სიმრავლების ელემენტებს შორის შესაბამისობის დადგენა; როგორ აღწერს დამოკიდებულება სიდიდებს შორის კავშირს. როგორ არის შესაძლებელი ინფორმაციის წარმოდგენა? ჩამოთვალე ფორმები და იმეჯელები მათ უზიარატესობებზე. როგორ გეხმარება ფუნქციის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა (გრაფიკი, ცხრილი, დიაგრამა, ფორმულა) საკითხის სიღრმისეულად გაგებასა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში? <p>6). მიმდევრობა</p> <ul style="list-style-type: none"> ორი სიმრავლის ელემენტებს შორის შეიძლება დამყარდეს შესაბამისობა მიუხედავად ელემენტების ბუნებისა. დამოკიდებულება აღწერს თუ როგორ არის დაკავშირებული სხვადასხვა სიდიდეები ერთმანეთთან. სიდიდეებს შორის დამოკიდებულების წარმოდგენა შესაძლებელია განტოლებებით/ფორმულით, გრაფიკებით, ცხრილებით ან სიტყვიერი აღწერით. <p>6). მიმდევრობა</p>	<p>5). ფუნქცია/დამოკიდებულება</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ აღწერ მათემატიკური მოდელი რეალურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს მათემატიკური ცნებებისა და ენის გამოყენებით. როგორ ხდება სიმრავლების ელემენტებს შორის შესაბამისობის დადგენა; როგორ აღწერს დამოკიდებულება სიდიდებს შორის კავშირს. როგორ არის შესაძლებელი ინფორმაციის წარმოდგენა? ჩამოთვალე ფორმები და იმეჯელები მათ უზიარატესობებზე. როგორ გეხმარება ფუნქციის სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა (გრაფიკი, ცხრილი, დიაგრამა, ფორმულა) საკითხის სიღრმისეულად გაგებასა და პრობლემის გადაჭრის გზების ძიებაში? <p>6). მიმდევრობა</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ (რა წესით) ხდება კანონზომიერების აღმოჩენა მიმდევრობაში; ჩანაწერის გაკეთება-ფორმულირება; 	<p>5) დამოკიდებულება, ფუნქცია, გრაფიკი.</p> <ul style="list-style-type: none"> მათემატიკური ცნებებითა და ენით ჩაწერილი ორ სიდიდეს შორის დამოკიდებულება, გამოიყენოს რეალური პროცესების ახსნის, პროგნოზირებისა და მოდელირებისათვის და პირიქით ორ სიდიდეს შორის შესაბამისობის დამყარება სიდიდეს შორის დამოკიდებულების აღწერა სიდიდეებს შორის დამოკიდებულების წარმოდგენა ცხრილის, განტოლების, ფორმულის, გრაფიკისა და სიტყვიერი აღწერის სახით
<p>6). მიმდევრობა</p>	<p>6) მიმდევრობა</p> <ul style="list-style-type: none"> ბუნებაში მიმდინარე სამყაროსეული კანონზომიერების აღწერა, დასკვნების 	<p>6) მიმდევრობა</p> <ul style="list-style-type: none"> ბუნებაში მიმდინარე სამყაროსეული კანონზომიერების აღწერა, დასკვნების

<ul style="list-style-type: none"> • კანონზომიერებებს აღმოჩენა და მათემატიკური ფორმულირება გვეხმარება პროცესის აღწერა, დასკვნების გაკეთება და სამყაროს შესწავლაში; • მიმდევრობა შეიძლება მოცემული იყოს ვერბალურად, დიაგრამის, გრაფიკის მეშვეობით, ფორმულის მეშვეობით ასევე, სიმბოლოების გამოყენებით. 	<ul style="list-style-type: none"> • როგორ არის შესაძლებელი ინფორმაციის წარმოდგენა გრაფიკული ფორმით ან / და დიაგრამებით. 	<p>გაკეთება და მათემატიკური ფორმულირება მიმდევრობის წარმოდგენა ვერბალურად, დიაგრამის, გრაფიკის, ფორმულისა და ასევე სიმბოლოების გამოყენებით</p>
<p>მიმართლება: გეომეტრია დაგაზომები</p> <p>7). გეომეტრიული ფიგურები, ბრტყელი და მათი ზომები</p> <p>8). სივრცული ფიგურები და მათი ზომები</p> <ul style="list-style-type: none"> • გეომეტრიული მოდელი რეალურ ცხოვრებასა და სამყაროში მიმდინარე მოვლენებს აღწერს გეომეტრიული ობიექტების ან ფიგურის ეშვებით. კარგი მოდელი გვეხმარება სამყაროში მიმდინარე პროცესების გაგებაში. • აქსიომებზე დაყრდნობით, მართული მსჯელობითა და არგუმენტებით შესაძლებელია ახალი კანონზომიერებების ფორმულირება, ასევე არსებული ფაქტების გაანალიზება, რომელსაც მივყავართ აღმოჩენების გაკეთება და პრობლემის გადაჭრისკენ. • ჩვენს გარშემო და გარემომცველ ბუნებაში არსებულ უამრავ საგანს გეომეტრიული ფიგურების ფორმა აქვს; გეომეტრიული ფიგურა შემოსაზღვრულია წერტილით, მონაკვეთით, წირით ან ზედაპირით. • სიბრტყესა და სივრცეში გეომეტრიული ფიგურების ზომის გამოთვლა ხდება შესაბამისი წესით, გაზომვა ხდება შესაბამისი სტანდარტული ერთეულით. • გეომეტრიული ფიგურებს და ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. 	<p>7-8). გეომეტრიული ფიგურები, ბრტყელი ფიგურები, სივრცული ფიგურები და მათი ზომები როგორ გვხმარება შერჩეული გეომეტრიული მოდელი მიმდინარე პროცესების აღქმასა და დასკვნების გამოტანაში</p> <ul style="list-style-type: none"> • შენი არგუმენტურებული მსჯელობით, აქსიომების ან/და თეორემებზე დაყრდნობით დაასაბუთე შენი აზრის, სისწორე; • როგორ ხდება გეომეტრიული ფიგურის ფორმის ან ზომის დადგენა • როგორ გამოთვალე შენს მიერ გამოყენებული გეომეტრიული ფიგურების ზომები; რა კრიტერიუმებით შეარჩიე საზომი ერთეულები • როგორ ხდება გეომეტრიული პრონიციების ცოდნითა და გამოყენებით ახალი კავშირები დადგენა და ცოდნის გამოყენება ამოცანების ამოსახსნელად. • წარმოაჩინე, როგორ გამოიყენება სამუთხები/ტოლობის/მსგავსების ნიშნები რეალური ვითარებების წარმოდგენისა და განზოგადებისათვის. 	<p>7) ბრტყელი ფიგურები და მათი ზომები</p> <p>8). სივრცული ფიგურები და მათი ზომები</p> <ul style="list-style-type: none"> • რეალურ ცხოვრებაში, სამყაროში მიმდინარე მოვლენების აღწერა გეომეტრიული ობიექტების / ფიგურების მეშვეობით • აქსიომებზე დაყრდნობითა და არგუმენტურებული მსჯელობით ახალი კანონზომიერებების ფორმულირება ან უკვე არსებული ფაქტების გაანალიზება და პრობლემის გადაჭრა • გეომეტრიული ფიგურების ცნობა და კლასიფიკაცია • გეომეტრიული ფიგურების ზომების გამოთვლა წესის შესაბამისად და გამოსახვა სტანდარტულ ერთეულებში • გეომეტრიული ფიგურის ელემენტებს შორის კავშირების დამყარება და ამ კავშირებზე ლოგიკური მსჯელობა • გეომეტრიული პრონიციების ცოდნის გამოყენებით გეომეტრიული ფიგურებისა და მისი ელემენტების (ტოლობა, მსგავსება) დაკავშირება

<p>აღნიშნული კავშირების გაგება და გაანალიზება ანვითარებს მსჯელობა-დასაბუთების.</p> <ul style="list-style-type: none"> გეომეტრიული პრინციპების ცოდნისა და გამოყენებით შეგვიძლია აღვწეროთ და დავაკავშიროთ გეომეტრიული ფიგურები და მისი ელემენტები (ტოლობა, მსგავსება...) 	<p>9). ტრიგონომეტრიული ფარდობა</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ უკავშირდება ერთმანეთს გეომეტრიული ფიგურების ელემენტები ტრიგონომეტრიის საშუალებით როგორ ხდება ახალი კავშირების აღმოჩენა და დადგენა 	<p>9). ტრიგონომეტრიული ფარდობა</p> <ul style="list-style-type: none"> ტრიგონომეტრიის ელემენტებს შორის კავშირის დადგენა ახალი კავშირების დადგენა და ამოცანის ამოხსნისას ცოდნის გამოყენება.
<p>9). ტრიგონომეტრიული ფარდობა</p> <ul style="list-style-type: none"> კვლევის მეშვეობით შესაძლებელია ახალი კავშირების აღმოჩენა და დადგენა 	<p>10). ანალიზური გეომეტრია</p> <ul style="list-style-type: none"> როგორ გამოიყენე გეომეტრიული გარდაქმნები და საკოორდინატო სისტემა ადგილმდებარეობის განსაზღვრასა და წარმოდგენაში? ჩვენს გარემოცველ სამყაროში მოიძებნება საგნები, რომლებსაც გააჩნიათ სიმეტრიის ღერძი, ან სიმეტრიის ცენტრი 	<p>10) ანალიზური გეომეტრია და გარდაქმნები</p> <ul style="list-style-type: none"> სიბრტყეზე და სივრცეში ორიენტირება და გეომეტრიული ობიექტის ადგილმდებარეობის განსაზღვრა გეომეტრიული ობიექტების გარდაქმნებით მიღებული ფიზიკური ცვლილებების გააზრება
<p>10). ანალიზური გეომეტრია გარდაქმნები</p> <ul style="list-style-type: none"> სიბრტყესა ან სივრცეში გეომეტრიულ ობიექტებს სხვადასხვა ურთიერთმდებარეობა გააჩნიათ; ანალიზური გეომეტრია გვეხმარება ადგილმდებარეობის განსაზღვრაგად. ასევე გეომეტრიული ობიექტებსა და ელემენტებს შორის კავშირის აღსაწერად. გარდაქმნებისა და სიმეტრიის შესწავლა გვეხმარება ფიზიკური ცვლილების გააზრებაში. 	<p>11). სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი</p>	<p>11) სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> სტატისტიკის მნიშვნელობის გააზრება და პროცესის სწორი წარმართვა
<p>მიმართულება: სტატისტიკა ალბათობა</p>	<p>11). სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი</p>	<p>11) სტატისტიკა, მონაცემთა ანალიზი</p> <ul style="list-style-type: none"> სტატისტიკის მნიშვნელობის გააზრება და პროცესის სწორი წარმართვა

<ul style="list-style-type: none"> • სტატისტიკა და მონაცემთა ანალიზი გულისხმობს საკვლევი თემის განსაზღვრას, მონაცემების შეგროვებას, მონაცემების ანალიზს და დასკვნის გაკეთებას. • სტატისტიკური ანალიზი გულისხმობს საკვლევი თემის განსაზღვრას, მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას, შესაბამისი ფორმით წარმოდგენას და დასკვნის გაკეთებას. • მონაცემების უკეთ აღწერის და განალიზების მიზნით მათი მოწესრიგება და ორგანიზება საჭირო. • მონაცემები შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით, რაც გვეხმარება სიტუაციის ანალიზს და დასკვნის გაკეთებაში. • მონაცემების დამუშავებითა და ანალიზით შესაძლებელია ვალიდური დასკვნის გაკეთება და პროგნოზირება. 	<ul style="list-style-type: none"> • როგორ ხდება სტატისტიკაში საკვლევი თემის განსაზღვრა, მონაცემების შეგროვება დამუშავება და წარმოდგენა • როგორ იგებება კვლევა? ვის/ რატომ/რისთვის სჭირდება მონაცემთა მოპოვების სხვადასხვა ხერხები: დაკვირვება, ექსპერიმენტი, კითხვარი, გამოკითხვა. • როგორ ხდება მონაცემების დამუშავება? • რაში გვეხმარება მონაცემების სხვადასხვა ფორმით წარმოდგენა? აჩვენეთ სხვადასხვა ფორმით წარმოდგენის უპირატესობები. • როგორ გამოიყენება მონაცემების დასახსიათებლად მონაცემთა შენაჯამებელი რიცხვითი მასასიათებლები: ცენტრალური ტენდენციის საზომები, მონაცემთა გაფანტულობა. 	<ul style="list-style-type: none"> • კვლევის საჭიროების და შინაარსის გაზრება. კვლევის ექსპერიმენტის ჩატარება მონაცემების დამუშავება • საკვლევი თემზე მონაცემების შეგროვება დამუშავება და წარმოდგენა სხვადასხვა ფორმით • მონაცემების დამუშავებითა (შენაჯამებელი რიცხვითი მასასიათებლებით, ცენტრალური ტენდენციის საზომები) და განალიზებით ვალიდური დასკვნების გაკეთება
<p>12). ალბათობა, ალბათობის ხდომილობა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეალური მოვლენის ხდომილობის განსაზღვრის სხვადასხვა სიზუსტით. • მოვლენები შეიძლება ახდენდნენ გავლენას ერთმანეთზე შეიძლება არა ვარიანტების დათვლა და მისი მნიშვნელობის გააზრება 	<p>12). ალბათობა, ალბათობის ხდომილობა</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ განსაზღვრება რეალური მოვლენის ხდომილობის ალბათობა? როგორ გვეხმარება არჩევანის გაკეთებაში და სწორი გადაწყვეტილების მიღებაში შესაბამისი ვარიანტების რაოდენობის ცოდნა? • რა შემთხვევაში ახდენენ გავლენას მოვლენები ერთმანეთზე? როგორ ხდება აღნიშნული გავლენის აღწერა? • როგორ გვეხმარება ვარიანტების დათვლა ყოფით სიტუაციაში და პრობლემასთან მუშაობის დროს. 	<p>12). ალბათობის ალბათობა</p> <ul style="list-style-type: none"> • რეალური მოვლენების ხდომილობის განსაზღვრის სხვადასხვა სიზუსტით. • მოვლენები შეიძლება ახდენდნენ გავლენას ერთმანეთზე შეიძლება არა ვარიანტების დათვლა და მისი მნიშვნელობის გააზრება

გ) მეთოდოლოგიური ორიენტირები

საგნის სწავლა-სწავლება უნდა წარიმართოს შემდეგი პრინციპების დაცვით:

- ა) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა მოტივირებას და შინაგანი ძალისხმევის გააქტიურებას.
- ბ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას წინარე ცოდნაზე დაფუძნებით.
- გ) სწავლა-სწავლება ხელს უნდა უწყობდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას და ორგანიზებას.
- დ) სწავლა-სწავლება უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის სტრატეგიების დაუფლებას (სწავლის სწავლას).
- ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

საგნობრივი შედეგების გარდა, ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებიდან სწავლა-სწავლებისა და შეფასების სამიზნედ ასევე უნდა იქცეს შემდეგი გამჭოლი უნარები და ღირებულებები:

პასუხისმგებლობა	სასკოლო საქმიანობებში (სასკოლო ცხოვრებაში) ნაკისრი ვალდებულებების შესრულება; სამუშაოს დადგენილ ვადებში დასრულება და ჩაბარება; საკუთარი ქცევის მართვა, საკუთარ ქცევებზე პასუხისმგებლობის აღება.
თანამშრომლობა	სამუშაოს თანასწორად განაწილება და შესრულება ჯგუფური/გუნდური მუშაობის დროს; მზაობა ჯგუფში/გუნდში სხვადასხვა ფუნქციის შესასრულებლად; განსხვავებული იდეების, შეხედულებების კონსტრუქციულად განხილვა; რესურსების, მოსაზრებების, ცოდნის გაზიარება პრობლემათა ერთობლივად გადაჭრის, გადანყვეტილებათა ერთობლივად მიღების მიზნით.
დროსა და სივრცეში ორიენტირება	თანამედროვე რეალობის სივრცულ-დროით ქრილში გააზრება და ინტერპრეტირება; მულტიპერსპექტიული ხედვა დროითი და სივრცული ფაქტორების გათვალისწინებით.
ეთიკა	ეთიკური ნორმების დაცვა; სოლიდარობის განცდა; ემპათია; განსხვავებულობის მიმღებლობა; საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრება.

<p>სწავლის სწავლა დამოუკიდებლად საქმიანობა</p>	<p>აქტივობის/დავალეების ღირებულების გააზრება - მოსწავლემ უნდა დაინახოს, რას შესძენს აქტივობის შესრულება, რა პიროვნულ თუ სოციალურ სარგებელს მოუტანს მას;</p> <p>აქტივობის/დავალეების დაგეგმვა - (მოთხოვნათა გააზრება და მის შესასრულებლად საჭირო ცოდნის განსაზღვრა; დავალეების/აქტივობის მთავარი მიზნის განსაზღვრა; სამუშაოს წარმატებით შესრულების კრიტერიუმების დადგენა; განსახორციელებელი სამუშაოს ეტაპების გამოკვეთა; იმის განჭვრეტა, თუ რა გაუადვილდება, რა გაუძნელდება, რაში დასჭირდება დახმარება; სტრატეგიების მიზანშეწონილად შერჩევა სამუშაოს თითოეული ეტაპისათვის;</p> <p>სწავლის პროცესის მონიტორინგი - დაფიქრება სწავლის პროცესზე, იმ პირობების და ფაქტორების ამოცნობა, რომლებიც ხელს უწყობს ან აფერხებს წინსვლას, სათანადო ზომების მიღება წინსვლის ხელშესაწყობად; თვითშეფასება ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად, სუსტი მხარეების გასაძლიერებლად გზების დასახვა;</p> <p>სოციოემოციური მართვა - ნერვიულობის მინიმუმამდე დაყვანა, საჭიროებისამებრ, დახმარების თხოვნა, საკუთარ თავში სიძნელეთა გადალახვის რესურსების პოვნა; შეცდომების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება და წინსვლის წყაროდ გამოყენება;</p> <p>ცალკეული საქმიანობისთვის გამოყოფილი დროის ეფექტურად გამოყენება.</p>
<p>ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება</p>	<p>მათემატიკური შინაარსის ციფრული ფორმატის ტექსტის შექმნა - ალგებრული გამოსახულებების და გეომეტრიაში გამოყენებული სხვადასხვა აღნიშვნების ჩანერა ტექსტურ რედაქტორის გამოყენებით;</p> <p>ციფრული ფორმატის გრაფიკული გამოსახულებების - დიაგრამების, გრაფიკების, ცხრილების, გეომეტრიული ნახაზების აგება სპეციალური გრაფიკული რედაქტორების გამოყენებით;</p> <p>ელექტრონული ცხრილების გამოყენება მონაცემთა ორგანიზება-წარმოდგენის, მათი დამუშავებისა და ანალიზის მიზნით;</p> <p>კალკულატორების გამოყენება გამოთვლების შესრულებისას ზომის ერთეულების ონლაინ-კონვერტორების გამოყენება;</p> <p>დინამიური, ვირტუალური სიმულაციების გამოყენება მათემატიკური შინაარსის ამოცანების ამოხსნისას.</p>
<p>წიგნიერება</p>	<p>ზეპირი და წერიტი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.</p>
<p>მენარმეობა, ინიციატივების გამოვლენა და საქმედ ქცევა</p>	<p>სწავლა-სწავლების პროცესში ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის გამოვლენა;</p> <p>ახალი იდეების, მიდგომების, შესაძლებლობების ძიება და მათი განხორციელება სწავლის გაუმჯობესების მიზნით;</p> <p>მზაობა გამოწვევების მისაღებად, გაბედული ნაბიჯების გადასადგმელად.</p>

შემოქმედებითი აზროვნება	ჩანაფიქრის შემოქმედებითად განხორციელება; ორიგინალური იდეების გამოვლენა და ხორცშესხმა; ახლის შექმნა; დასმული პრობლემების გადასაჭრელად არასტანდარტული გზების მოძიება; სწრაფვა გარემოს გარდაქმნა-გაუმჯობესებისკენ; გამონვევების მიღება, სასკოლო საქმიანობებში გაბედული ნაბიჯების გადადგმა.
-------------------------	---

წლიური პროგრამისა და სასწავლო თემის აგების პრინციპები

სტანდარტზე დაყრდნობით იგეგმება წლიური პროგრამები, რომლებიც გვიჩვენებს სტანდარტის მოთხოვნათა რეალიზების გზებს. წლიური პროგრამა სარეკომენდაციო ხასიათისაა. სკოლას შეუძლია გამოიყენოს რეკომენდებული წლიური პროგრამა ან თავად დასახოს სტანდარტის მიღწევის გზები. წლიური პროგრამები უნდა დაიგეგმოს სასწავლო თემების საშუალებით.

სასწავლო თემა იგეგმება შემდეგი კომპონენტების გამოყენებით:

<p>სასწავლო თემა</p> <p>სასწავლო თემა წარმოადგენს ფუნქციურ კონტექსტს, რომელიც სტანდარტის შედეგების, ცნებებისა თუ კონკრეტული საკითხების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. თითოეული თემის ფარგლებში, შეძლებისდაგვარად, უნდა დამუშავდეს სტანდარტის ყველა შედეგი.</p>
<p>საგნობრივი საკითხები</p> <p>წლიური თემების ფარგლებში გამოიყოფა საგნობრივი საკითხები. საგნობრივი საკითხების სწავლება თვითმიზანს არ წარმოადგენს.</p> <p>საგნობრივი საკითხების მეშვეობით მოსწავლე გაიაზრებს ცნების შინაარსს, ამუშავებს საკვანძო შეკითხვებს, ასრულებს კომპლექსურ დავალებებს.</p>
<p>თემის ფარგლებში დასამუშავებელი ცნებები</p> <p>ცნებები განსაზღვრავს იმ არსებით ცოდნას, რომელსაც მოსწავლე საგნის ფარგლებში უნდა დაეუფლოს.</p>
<p>თემატური საკვანძო შეკითხვები</p> <p>თემატური საკვანძო შეკითხვები გამომდინარეობს საფეხურებრივი საკვანძო შეკითხვებიდან და დაისმის თემის კონკრეტულ კონტექსტში. მათი ფუნქციაა:</p> <p>მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურება, ცნობისმოყვარეობის გაღვივება, პროვოცირება ახალი ცოდნის შესაძენად;</p> <p>სასწავლო თემის შედეგზე ორიენტირებულად სწავლა-სწავლების უზრუნველყოფა; თემის სწავლა-სწავლების პროცესში შუალედური ბიჯების/ეტაპების განსაზღვრა.</p> <p>საკვანძო შეკითხვა წარმოადგენს მაორგანიზებელ ელემენტს, რომელმაც სასწავლო თემის ფარგლებში შესაძლოა გაკვეთილ(ებ)ის მიზნის როლი შეასრულოს.</p>
<p>აქტივობები</p> <p>დავალებების ტიპები/ნიმუშების ჩამონათვალი, რომლებიც გამოიყენება გაგება-გააზრებისა და შეჯამების პროცესების, ასევე ცოდნის ათვისების, განმტკიცებისა თუ შეჯამების მიზნით.</p> <p>კომპლექსურ/პროექტულ დავალებათა იდეების ჩამონათვალი</p> <p>კომპლექსური/პროექტული დავალებები წარმოადგენს იმგვარ აქტივობებს, რომელთა შესრულება მოითხოვს სხვადასხვა ცოდნათა ინტეგრირებულად გამოყენებას ფუნქციურ კონტექსტებში.</p>
<p>შეფასების ინდიკატორები</p> <p>შეფასების ინდიკატორები სტანდარტის შედეგებიდან გამომდინარეობს და აჩვენებს, რა უნდა შეძლოს მოსწავლემ კონკრეტული თემის ფარგლებში. სხვა სიტყვებით, ინდიკატორები წარმოადგენს კონკრეტულ თემაში რეალიზებულ შედეგებს. ინდიკატორებში დაკონკრეტებულია ცოდნის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელსაც მოსწავლე თემის ფარგლებში უნდა დაეუფლოს. შეფასების ინდიკატორებზე დაყრდნობით ყალიბდება კრიტერიუმები შეფასების რუბრიკებისთვის.</p>

როგორ აიგება სასწავლო თემა?

სასწავლო თემის ასაგებად უმთავრესი ორიენტირებია სტანდარტის შედეგები. ისინი სტანდარტში სავალდებულო სახითაა განსაზღვრული. ცნებებსა და შედეგებზე დაყრდნობით განისაზღვრება მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები და შეფასების ინდიკატორები.

სასწავლო თემის სწავლა-სწავლების მიზნით შემდეგ ეტაპზე უნდა განისაზღვროს საგნობრივი საკითხები, რესურსები, დავალებების ტიპები/ნიმუშები გაგების, გააზრების, განმტ-

კიციებისა და შეჯამების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია განისაზღვროს იდეები შემაჯამებელი კომპლექსური დავალებებისთვის, რადგან მხოლოდ კომპლექსური დავალებების საშუალებით შეიძლება გამოვლინდეს, რამდენად დაეუფლა მოსწავლე თემის ფარგლებში ასათვისებელ ცოდნა-უნართა ერთობლიობას და რამდენად ახერხებს მათ ფუნქციურად გამოყენებას.

სასწავლო თემის აგების ბიჯები

- ნაბიჯი 1. საგნობრივი საკითხების განსაზღვრა
- ნაბიჯი 2. თემატური საკვანძო კითხვების დასმა
- ნაბიჯი 3. შეფასების ინდიკატორების განსაზღვრა
- ნაბიჯი 4. აქტივობებისა და მიმდინარე დავალებების დაგეგმვა და რესურსების შერჩევა
- ნაბიჯი 5. შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების შემუშავება

სწავლის უნარების გასაუმჯობესებლად მნიშვნელოვანია ზრუნვა მეტაკოგნიციის უნარების განვითარებაზე, რისთვისაც მასწავლებელმა პერიოდულად სამი ტიპის აქტივობა უნდა ჩაატაროს. ეს აქტივობებია:

სტრატეგიების მოდელირება: მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ასრულებს დავალებას და მისი შესრულებისას „ხმამალა ფიქრობს“ იმაზე, თუ როგორ შეასრულოს ეს აქტივობა (მაგ., კარგად გავეცნოთ პირობას და დავაკვირდეთ, რას მოითხოვს იგი; აქვს თუ არა პირობას თანხმლები მასალა და მისთ.);

წინმსწრები მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულებამდე დაფიქრება და მსჯელობა გადასადგმელ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან დავალების პირობას, შევასრულებინებთ მეტაკოგნიტური ხასიათის ამგვარ აქტივობას: მათ ჯგუფურად უნდა განსაზღვრონ ის გზა, რომლითაც დავალებას შეასრულებენ, სახელდობრ: დეტალურად აღწერონ დავალების შესრულების ეტაპები (რას შეასრულებენ რის შემდეგ და სხვ.), ასევე სტრატეგიები, რომლებსაც გამოიყენებენ თითოეულ ეტაპზე. ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ნამუშევრები და იმსჯელონ შერჩეული გზებისა თუ სტრატეგიების მიზანშეწონილობაზე.

შემდგომი მეტაკოგნიტური პაუზა, ანუ დავალების შესრულების შემდეგ დაფიქრება და მსჯელობა გადადგმულ ნაბიჯებზე – მას შემდეგ, რაც მოსწავლეები შეასრულებენ კონკრეტულ დავალებას, მათ უნდა გაიხსენონ და აღწერონ განვლილი გზა: რა გააკეთეს რის შემდეგ? რა ხერხები გამოიყენეს მუშაობისას? რა გაუჭირდათ ან რა გაუადვილდათ? შესრულებული მოქმედებების აღწერის შედეგად მოსწავლეები გააცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მიზნის მისაღწევად არსებობს სხვადასხვა გზა და ხერხი, რომლებზეც დავალების შესრულებამდე უნდა დაფიქრდნენ (ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად). მეტაკოგნიტური პაუზა მოსწავლეებს განუვითარებს სწავლის უნარებს და აუმაღლებს სწავლის ქმედუნარიანობას.

დ) შეფასება

ახალი სკოლის მოდელის თანახმად, შეფასებისთვის გამოიყენება SOLO (Structure of Observed Learning Outcome) ტაქსონომია (იგივე დაკვირვებადი სწავლის შედეგების ტაქსონომია). სოლო ტაქსონომიით მასწავლებელი შეისწავლის მოსწავლის სწავლის პროცესს, მოსწავლე - საკუთარი სწავლის პროცესს (სოლო – „სად ვარ მე“). სოლო ტაქსონომია მოიცავს ხუთ დონეს:

1. პრესტრუქტურული დონე – მოსწავლე საერთოდ ვერ იგებს საკითხს, იყენებს შეუსაბამო, არარელევანტურ ინფორმაციას ან/და საერთოდ აცდენილია მნიშვნელობას/აზრს (მოსწავლე – არ შემოიძლია, დახმარება მჭირდება);
2. უნისტრუქტურული დონე – მოსწავლეს შეუძლია მხოლოდ ერთი ასპექტის გათვალისწინება, მარტივი, ზედაპირული კავშირების დამყარება, ტერმინის გახსენება/დასახელება, ინფორმაციის გადმოცემა, აზრის გამოტანა, მოძიება, აღნიშვნა, მარტივი ინსტრუქციის შესრულება და პროცედურის დაცვა (მოსწავლე – შემოიძლია მარტივი მითითების შესრულება);
3. მულტისტრუქტურული დონე – მოსწავლეს შეუძლია რამდენიმე ასპექტის გათვალისწინება, ვერ ამყარებს მათ შორის არსებულ მიმართებებს. შეუძლია ჩამოთვლა, აღწერა, ინფორმაციის კლასიფიკაცია, შევსება, გაგრძელება, მეთოდის გამოყენება, პროცედურების შესრულება (მოსწავლე – შემოიძლია აღწერა, ჩამოთვლა);
4. მიმართებითი დონე – მოსწავლეს შეუძლია გაიგოს, რა მიმართებებია რამდენიმე ასპექტს შორის, ადგენს მათ შორის კავშირს და ნაწილებისგან ქმნის მთლიანს; შეუძლია კლასიფიცირება, მსგავსება-განსხვავების აღმოჩენა, ახსნა (მიზეზისა და შედეგის), გაანალიზება, ანალოგიის მოყვანა, კითხვის დასმა, თეორიის გამოყენება, აღწერა (მოსწავლე – შემოიძლია ახსნა, ანალიზი);
5. გაფართოებული აბსტრაქტული დონე – მოსწავლეს შეუძლია მოცემულის/შეთავაზებულის მიღმა სტრუქტურის განზოგადება და აღქმა სხვადასხვა პერსპექტივიდან, იდეების ჩამოყალიბება და გადატანა სხვა სიტუაციაში. მას შეუძლია განზოგადება, ჰიპოთეზის/კონცეფციის/ თეორიის ჩამოყალიბება. შეუძლია შეფასება/კრიტიკა, შექმნა, გადამონმება, დადასტურება, დასაბუთება, პრიორიტეტების დასახვა (მოსწავლე – შემოიძლია შექმნა, შეფასება).

სწავლის ხარისხის გაუმჯობესების ხელშესაწყობად უპირატესობა უნდა მიენიჭოს განმავითარებელ შეფასებას, რომელიც აფასებს მოსწავლეს თავის წინარე შედეგებთან მიმართებით, ზომავს ინდივიდუალურ წინსვლას და, ამდენად, აძლევს მოსწავლეს ცოდნის ეტაპობრივი კონსტრუირების საშუალებას.

მნიშვნელოვანია, მოსწავლე თავად იყოს ჩართული განმავითარებელ შეფასებაში. სწავლის პროცესის შეფასება მოსწავლეს გამოუმუშავებს დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებს, დაეხმარება სწავლის სტრატეგიების ათვისებაში, საშუალებას მისცემს, გაცნობიერებულად შეუწყოს ხელი საკუთარ წინსვლასა და წარმატებას. შეფასებაში ჩართვის ძირითადი მიზანია მოსწავლის გათვითცნობიერება სწავლის პროცესებში, რაც მას ამ პროცესების გააზრებულად და დამოუკიდებლად მართვას შეასწავლის.

შემაჯამებელი (განმავითარებელი და განმსაზღვრელი) შეფასება

შემაჯამებელი შეფასებისთვის გამოიყენება კომპლექსური, კონტექსტის მქონე დავალებები, რომელთა შესრულება მოითხოვს სტანდარტით განსაზღვრული ცოდნისა და უნარების ინტეგრირებულად და ფუნქციურად გამოყენებას. ამ დავალებათა შესაფასებლად გამოიყენება შეფასების რუბრიკები, ანუ კრიტერიუმების ბადე.

მოსწავლეს თითოეული სასწავლო თემის დამუშავების შემდეგ ევალება შემაჯამებელი დავალების წარმოდგენა. შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა წლის განმავლობაში სავალდებულო სასწავლო თემების რაოდენობას ემთხვევა.

ტიპობრივი დავალებები შემაჯამებელი შეფასებისათვის

სტანდარტის მოთხოვნათა დასაფარად, რეკომენდებულია შემაჯამებელ დავალებათა მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. მათემატიკის შემაჯამებელ დავალებათა ტიპები შეიძლება იყოს:

ტექსტურ ამოცანასთან დაკავშირებული ღია ან დახურული (რამდენიმე შესაძლო პასუხს შორის სწორი პასუხის შერჩევა, შესაბამისობის დამყარება, სწორი თანმიმდევრობით დალაგება) ტიპის დავალება;

ტექსტის წაკითხვა და მონაცემთა ანალიზით (გამოთვლების ან ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე) მიღებული დასკვნის გადმოცემა და დასაბუთება (მათ შორის ისეთი ტექსტის, რომელიც შეიცავს დიაგრამებს და ცხრილებს);

განტოლების ამოხსნა, ასოითი გამოსახულების გამარტივება, რიცხვითი გამოსახულების მნიშვნელობის გამოთვლა;

გეომეტრიული ამოცანა, რომელშიც მოსწავლეს მოეთხოვება ფიგურის თვისებების დადგენა, ზომების განსაზღვრა, ფიგურის აგება;

ამოცანა, რომელშიც წინასწარ განსაზღვრული მონაცემების საფუძველზე მოსწავლეს მოეთხოვება მოცემული ფაქტის დასაბუთება ან უარყოფა (მაგალითად, თეორემის დამტკიცება).

უნარ-ჩვევები ფასდება შემდეგი კრიტერიუმებით:

მოსწავლე აღიქვამს ამოცანის შინაარსს, გაიაზრებს და გამიჯნავს ამოცანის მონაცემებსა და საძიებელ სიდიდეებს. ახდენს მონაცემების (მათ შორის პრობლემის გადასაჭრელად საჭირო მონაცემების) ორგანიზებას და მათ წარმოდგენას;

გადმოცემისას სწორად და ეფექტიანად იყენებს მათემატიკურ ტერმინებსა და აღნიშვნებს. ადეკვატურად ირჩევს სიმკაცრის დონეს და როდესაც საჭიროა, დასაბუთებისას იყენებს მკაცრ მათემატიკურ მსჯელობას (მათ შორის ინდუქციურ და დედუქციურ მსჯელობას);

პოულობს, არჩევს და იყენებს გზებსა და მეთოდებს (მათ შორის ტექნოლოგიებს) ფიგურების და ობიექტების ზომების, აგრეთვე მათ შორის მანძილების, მასის, ტემპერატურის და დროის გასაზომად. არჩევს და მოიპოვებს პროცესის ან რეალური ვითარების მოდელირებისათვის საჭირო მონაცემებს;

ახდენს მოცემული მოდელის ელემენტების ინტერპრეტირებას იმ რეალობის კონტექსტში, რომელსაც მოდელი აღწერს და პირიქით – რეალური ვითარების დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტირებას შესაბამისი მოდელის ენაზე. განსაზღვრავს მოდელის ვარგისიანობას და აფასებს მისი გამოყენების საზღვრებს;

კომპლექსურ (რთულ) პრობლემას ყოფს საფეხურებად, მარტივ ამოცანებად და ქრის ეტაპობრივად (ამოხსნა), მათ შორის სტანდარტული მიდგომებისა და პროცედურების გამოყენებით;

ამოცანების ამოხსნისას, იყენებს მათემატიკურ ობიექტებს, პროცესებს და მათ თვისებებს; ირჩევს ეფექტიან სტრატეგიას და მოკლედ აღწერს პრობლემის გადაჭრის საფეხურებს. მიჰყვება არჩეულ სტრატეგიას. აანალიზებს არჩეულ სტრატეგიას და დასაბუთებს არჩეული სტრატეგიის ეფექტიანობას, მიმოიხილავს შესაძლო ალტერნატიულ სტრატეგიებს და მსჯელობს მათ უპირატესობებსა და ნაკლებზე;

ირჩევს გამოთვლების ადეკვატურ / ოპტიმალურ ხერხს და ახდენს მის რეალიზებას;

ამყარებს კავშირებს (მაგალითად, სხვა მათემატიკურ სტრუქტურებთან, ობიექტებთან ან სხვა დისციპლინებთან) და იყენებს ამ კავშირებს როგორც პრობლემის გადაჭრისას, ასევე მიღებული შედეგების გაანალიზებისას;

ახდენს მიღებული შედეგების განზოგადებას, ამყარებს კავშირებს (მაგალითად სხვა მათემატიკურ სტრუქტურებთან, ობიექტებთან ან სხვა დისციპლინებთან) და იყენებს ამ კავშირებს როგორც პრობლემის გადაჭრისას, ასევე მიღებული შედეგების გაანალიზებისას;

ირჩევს დასაბუთების ხერხს (მაგალითად: სანინაალმდეგოს დაშვების გამოყენება დამტკიცებისას, ევრისტული მეთოდის გამოყენება დასაბუთებისას);

ინფორმაციის გადაცემისას წარმოაჩენს საკითხის არსს (მაგალითად, მათემატიკური ობიექტის არსებით თვისებებს);

კორექტულია მასწავლებელთან და მეგობრებთან მიმართებაში. იგებს და აანალიზებს სხვის ნააზრევს;

თანამშრომლობს თანაკლასელებთან ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას;

აუდიტორიისა და საპრეზენტაციო მასალის მიხედვით ირჩევს პრეზენტაციის ფორმას და დამხმარე საშუალებებს (მათ შორის საინფორმაციო ტექნოლოგიებს). ეფექტიანად იყენებს

პრეზენტაციისათვის განკუთვნილ დროს;

ახდენს პრობლემის ფორმულირებას აუდიტორიისათვის გასაგები ფორმით. ასაბუთებს პრობლემის აქტუალურობას და მნიშვნელობას (იგულისხმება პრობლემის პრაქტიკული ან/და წმინდა მეცნიერული აქტუალურობა);

სადემონსტრაციოდ იყენებს მაგალითებს, როგორც რეალური ვითარებიდან ასევე მათემატიკიდან;

კეთილსინდისიერად ასრულებს დავალებებს (ვადებისა და რაოდენობის თვალსაზრისით).

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განმსაზღვრელი შეფასებისათვის განკუთვნილი შემაჯამებელი დავალება

დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს თავისი შეფასების ზოგადი რუბრიკა;

ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;

10 ქულა უნდა გადანაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;

მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შეფასებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

კონკრეტული რუბრიკის ნიმუში

ტექსტური ამოცანა, რომლის ამოხსნა მოითხოვს განტოლების შედგენას და ამოხსნას

საფეხურები	ქულა
ამოცანის მონაცემების ორგანიზება	
ამოხსნისათვის საჭირო მონაცემების ამოკრეფა ამოცანის ტექსტიდან	0-1
მონაცემების ორგანიზება და ისეთი ხერხით ჩანერა, რომელიც აადვილებს ამოხსნის გზის მოძებნას	0-1
ადეკვატური აღნიშვნების შემოტანა	
საძიებელი სიდიდეების გამოყოფა	0-1
საძიებელი სიდიდეებისათვის ასოითი აღნიშვნების შემოღება	0-1
მათემატიკური ობიექტებისა და პროცედურებისათვის სწორი აღნიშვნების გამოყენება (მაგალითად: ფუნქციის, ალგებრული მოქმედების)	0-1
ამოხსნის გზის მოძებნა	
განტოლების შედგენის წინმსწრები მსჯელობა	0-1
განტოლების შედგენა	0-1
ამოხსნის გზის რეალიზება და პასუხის მიღება	
განტოლების ამოხსნის ხერხის მოძებნა	0-1
71*. $f(1) = a + b + c = 0$ ე.ი. $x = 1$ -მა განტოლება გადააქცია სწორ ტოლობად, მაშასადამე, $x = 1$ განტოლების ფესვია.

72*. მითითება: უნდა ამოვხსნათ $D > 0$ უტოლობა.

73*. რადგან x_0 არის $ax^2 + bx + c = 0$ განტოლების ფესვი, ე.ი. (1) $ax^2 + bx + c = 0$ არის ჭეშმარიტი ტოლობა. $x_1 = ax_0$ ჩასმა თუ გადააქცევს $x^2 + bx + ac = 0$ განტოლებას სწორ ტოლობად, ე.ი. $x_1 = ax_0$ არის მისი ფესვი. ჩავსვათ. მივიღებთ $a^2x_0^2 + abx_0 + ac = 0 \Rightarrow a(ax_0^2 + bx_0 + c) = 0$

(1)-ის გათვალისწინებით, მივიღეთ სწორი ტოლობა. რ.დ.გ.

74*. $\begin{cases} x_1 + x_2 = 6 \\ x_1x_2 = q \\ x_2 - x_1 = 2 \\ D > 0 \end{cases}$ $(x_2 - x_1)^2 = 2^2 \Rightarrow q = 8$

$x_1x_2 = 1$ ე.ი. x_1 და x_2 უერთიერთშებრუნებული რიცხვებია.

79*. მითითება: $D = 0$.

80. მითითება: ა) $D \leq 0$; ბ) $D \geq 0$.

II ტაპი


თემატური გატრიცა

თავი 2 - წრეწირი - თემატური მატრიცა

<p>მიმართულება - გეომეტრია კლასი - 9 სათემის სავარაუდო რაოდენობა - 2-3 კვირა</p>			
<p>სამიზნე ცნებები/საკითხები ბრტყელი ფიგურები და მათი ზომები/ წრე და მისი ნაწილები მაკროცნება: კავშირები, რაოდენობრივი მსჯელობა, მოდელირება</p>			
<p>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>საკითხი/ქვესაკითხები/ქვეცნებები</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / ზოგადი შეკითხვები</p>	<p>კომპლექსური დაგალების პირობა / შეფასების კრიტერიუმები</p>
	<p>წრე და წრის ნაწილები ქვესაკითხები: 1. ქორდის მართობული დიამეტრის თვისება 2. წრეწირის მხები 3. ორი წრეწირის ურთიერთმდებარეობა 4. წრეწირში ჩახაზული და შემოხაზული სამკუთხედები 5. წრეწირის რკალი 6. ჩახაზული კუთხე 7. მხებითა და ქორდით შედგენილი კუთხე 8. მართკუთხა სამკუთხედი 9. ორი წრეწირის საერთო შიგა და გარე მხებები 10. წრეწირში ჩახაზული ოთხკუთხედი</p>	<p>საკვანძო შეკითხვა / ზოგადი შეკითხვები</p>	

<p>ბრტყელი ფიგურები და მათი ზომები</p> <p>სტანდარტის შედეგები:</p> <p>1. აქსიომებზე დაყრდნობით, მართლებული მსჯელობითა და არგუმენტებით შესაძლებელია ახალი კანონზომიერებების, კავშირების ფორმულირება, ასევე არსებული ფაქტების გაანალიზება, რომელსაც მივყავართ აღმოჩენების გაკეთების, ვარაუდის გამოთქმისა და თეორემის დამტკიცებისკენ.</p>	<p>11. პროპორციული მონაკვეთები წრეში</p> <p>12. წესიერი მრავალკუთხედები</p> <p>13. წრეწირის სიგრძე, წრის ფართობი</p>		
<p>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა</p> <p>საკვანძო შეკითხვა: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პრობლემების საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლუ ამ საკითხთან დაკავშირებით?</p> <p>ბიზნესმენმა გადაწყვიტა, ქალაქის გარეუბანში არსებული 90000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი რეკრეაციულ ზონად მოაწყოს. დიზაინერმა უნდა დაგეგმოს ჩანაფიქრი იმის გათვალისწინებით, რომ ნაკვეთზე არსებული რამდენიმე ნაძვის ხე შენარჩუნდეს ხელშეუხებლად. ამასთან, სკვერში უნდა გაკეთდეს 6 მეტრი სიგანის წრიული ბილიკი ველოსიპედისტებისა და ფეხით მოსარულეებისთვის, რომელიც, უსაფრთხოების მიზნით, გამოყოფილი იქნება სპეციალური დამცავი ბადით. ბილიკის შიგნით მოქცეული სივრცე კი დაეთმობა მოსასვენებელ და ბავშვთა გასართობ ზონებს.</p> <p>1. რა სიგრძის დამცავი ბადე იქნება საჭირო სარბენი ბილიკის გელობიოკისგან გამოსაყოფად?</p> <p>2. რამდენ კვადრატულ მეტრს შეადგენს წრეში მოქცეული ფართობი, რომელშიც მოსასვენებელი სკამები და ბავშვებისთვის განსაზღვრული ატრაქციონები უნდა განთავსდეს?</p> <p>3. რამდენი ცალი გამყოფი ბარიერის ფილა უნდა შეიძინოს, თუ წრიული ბილიკის შიდა და გარე პერიმეტრის შემოსაზღვრვას სჭირდება 1 მეტრი სიგრძის ფილები?</p> <p>4. რამდენი ჩირაღდანი უნდა დამონტაჟდეს გარე ბილიკის გასწვრივ, თუ ჩირაღდნებს შორის მანძილი 6 მეტრი უნდა იყოს?</p>	<p>თქვენი დავალება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. გამოთვალეთ კვადრატული ნაკვეთის გვერდის სიგრძე(ფართობით); 2. გამოთვალეთ კვადრატში ჩახაზული წრეწირის რადიუსი, ასევე გამყოფი და შიგა წრეწირების რადიუსები; 3. განსაზღვრეთ შემოსაღობად საჭირო მასალის რაოდენობა; 4. გაეცით პასუხი დანარჩენ შეკითხვებს. <p>ნაშრომის პრეზენტაციასა და საზღვარს გასწვრივ:</p> <ol style="list-style-type: none"> 5. როგორ იპოვეთ ნაკვეთის გვერდის სიგრძე; 6. როგორ იპოვეთ კვადრატში ჩახაზული წრეწირის 		

2-გეომეტრიული ფიგურებს და ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. რომელიც შეიძლება იყოს ფორმულირებული და დამტკიცებული. 3-გეომეტრიული ფიგურების თვისებების ცოდნა გვხმარება გეომეტრიული ობიექტების და მოდელების აგებაში.



ეტაპი II. მოსწავლეთა წინაშე ცოდნის გააქტიურება კომპლექსური დავალების შესრულებისთვის საჭირო საკითხების გახსენებით.

ფაქტობრივი კითხვები:	რას ეწოდება წრეწირის დიამეტრი? რადიუსი? ქორდა?
კონცეპტუალური კითხვები:	როგორ არის დაკავშირებული დიამეტრი რადიუსთან?

ეტაპი III – კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა და დასრულების შემდეგ წარდგენა

საკითხის/საკითხებს დამუშავება სამიზნე ცნებების მიხედვით, მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაზე მუშაობა და ცოდნის განმტკიცება

შედეგები 1,2,3: წრეწირის მხების და ქორდის თვისებები

1. ქორდის მართობული დიამეტრის თვისება;
2. წრეწირის მხები;
3. ორი წრეწირის ურთიერთმდებარეობა.

და გამყოფი და შიგა წრეწირების რადიუსები; როგორ განსაზღვრეთ შემოსაღობად საჭირო მასალის რაოდენობა .

მაკროცნება და მასთან დაკავშირებული კრიტერიუმები: მოდელოება; რაოდენობრივი მსჯელობა; კავშირები;

როგორ გვეხმარება რაოდენობრივი მსჯელობა გეომეტრიული მოდელების შექმნაში

შეფასების კრიტერიუმები

მოსწავლეს შეუძლია:

1. რეალურ ცხოვრებაში, სამყაროში მიმდინარე მოვლენების აღწერა გეომეტრიული

	<ul style="list-style-type: none"> • რას ეწოდება მხები წრფე? • რას ეწოდება მკვეთი წრფე? • რა დამოკიდებულებაა წრეწირის მიმართ გავლებულ მხებებს შორის? 	<p>ლბიექტების / ფიგურების მეშვეობით</p> <p>2. აქსიომებზე დაყრდნობითა და არგუმენტირებული მსჯელობით ახალი კანონზომიერების ფორმულირება ან უკვე არსებული ფაქტების გაანალიზება და პრობლემის გადაჭრა</p> <p>3. გეომეტრიული ფიგურების ცნობა და კლასიფიკაცია</p> <p>4. ახალი კავშირების დადგენა და წარმოდგენა.</p> <p>5. გეომეტრიული ფიგურების ზომების გამოთვლა წესის შესაბამისად და გამოსახვა სტანდარტულ ერთეულებში</p> <p>6. გეომეტრიული ფიგურის ელემენტებს შორის</p>
<p>ფაქტობრივი კითხვები: რა?</p>	<ul style="list-style-type: none"> • როგორ ხდება მკვეთის მონაკვეთებს შორის კავშირის დადგენა? • როგორ ხდება ქორდასა და დიამეტრს შორის კავშირის დადგენა? რა კავშირია? • როგორ მდებარეობა შეიძლება ჰქონდეთ წრეწირებს? აღწერეთ. 	
<p>სადისკუსიო კითხვები მაპროვოცირებელი კითხვები</p>	<ul style="list-style-type: none"> • რატომ არის მნიშვნელოვანი გეომეტრიული ფიგურის ელემენტებს შორის კავშირის დადგენა? 	
<p>რა უნდა გაიგოს მოსწავლემ საკითხის შესწავლისას:</p>	<p>მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ:</p> <ul style="list-style-type: none"> • გეომეტრიული ფიგურებს და ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი, რომელიც შეიძლება იყოს ფორმულირებული და დამტკიცებული. • გეომეტრიული ფიგურების თვისებების ცოდნა გვეხმარება გეომეტრიული ობიექტების და მოდელების აგებაში 	
	<p>ქვესაკითხები:</p> <ol style="list-style-type: none"> 4. წრეწირში ჩახაზული და შემოხაზული სამკუთხედები; 5. წრეწირის რკალი; 6. ჩახაზული კუთხე; 	

<p>7. მხებთან და ქორდით შედგენილი კუთხე;</p> <p>8. მართკუთხა სამკუთხედი;</p> <p>9. ორი წრეწირის საერთო შიგა და გარე მხებები.</p>	<table border="1"> <tr> <td data-bbox="244 259 378 528"> <p>ფაქტობრივი კითხვები:</p> <p>რა?</p> </td> <td data-bbox="244 528 378 1688"> <ul style="list-style-type: none"> • რას ეწოდება ცენტრული კუთხე? ჩახაზული კუთხე? • რას ეწოდება წრეში ჩახაზული სამკუთხედი? • წრეზე შემოხაზული სამკუთხედი? </td> </tr> <tr> <td data-bbox="378 259 690 528"> <p>კონცეპტუალური კითხვები:</p> <p>როგორ? რატომ?</p> </td> <td data-bbox="378 528 690 1688"> <ul style="list-style-type: none"> • როგორ ხდება ცენტრული კუთხის გამოთვლა? • როგორ ხდება ჩახაზული კუთხის გრადუსული ზომის დადგენა? • როგორ ხდება მხებთან და მკვეთით, ასევე მკვეთებით შედგენილი კუთხის ზომის დადგენა? • როგორ ხდება სამკუთხედზე შემოხაზული ან სამკუთხედში ჩახაზული წრის ცენტრის დადგენა? </td> </tr> <tr> <td data-bbox="690 259 838 528"> <p>სადისკუსიო კითხვები</p> <p>მაპროგნოზირებელი კითხვები</p> </td> <td data-bbox="690 528 838 1688"> <ul style="list-style-type: none"> • არსებობს თუ არა დამოკიდებულება ცენტრულ, ჩახაზულ კუთხესა და იმ რკალს შორის რომელსაც ეყრდნობიან კუთხეები? </td> </tr> <tr> <td data-bbox="838 259 1209 528"> <p>რა უნდა გაიგოს მოსწავლემ საკითხის შესწავლისას:</p> </td> <td data-bbox="838 528 1209 1688"> <ul style="list-style-type: none"> • აქსიომებზე დაყრდნობით, მართებული მსჯელობითა და არგუმენტებით შესაძლებელია ახალი კანონზომიერებების კავშირების ფორმულირება, ასევე არსებული ფაქტების გაანალიზება, რომელსაც მიყვავართ აღმოჩენების გაკეთებამდე, ვარაუდის გამოთქმასა და თეორემის დამტკიცებისკენ. • გეომეტრიული ფიგურებს და მის </td> </tr> </table>	<p>ფაქტობრივი კითხვები:</p> <p>რა?</p>	<ul style="list-style-type: none"> • რას ეწოდება ცენტრული კუთხე? ჩახაზული კუთხე? • რას ეწოდება წრეში ჩახაზული სამკუთხედი? • წრეზე შემოხაზული სამკუთხედი? 	<p>კონცეპტუალური კითხვები:</p> <p>როგორ? რატომ?</p>	<ul style="list-style-type: none"> • როგორ ხდება ცენტრული კუთხის გამოთვლა? • როგორ ხდება ჩახაზული კუთხის გრადუსული ზომის დადგენა? • როგორ ხდება მხებთან და მკვეთით, ასევე მკვეთებით შედგენილი კუთხის ზომის დადგენა? • როგორ ხდება სამკუთხედზე შემოხაზული ან სამკუთხედში ჩახაზული წრის ცენტრის დადგენა? 	<p>სადისკუსიო კითხვები</p> <p>მაპროგნოზირებელი კითხვები</p>	<ul style="list-style-type: none"> • არსებობს თუ არა დამოკიდებულება ცენტრულ, ჩახაზულ კუთხესა და იმ რკალს შორის რომელსაც ეყრდნობიან კუთხეები? 	<p>რა უნდა გაიგოს მოსწავლემ საკითხის შესწავლისას:</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქსიომებზე დაყრდნობით, მართებული მსჯელობითა და არგუმენტებით შესაძლებელია ახალი კანონზომიერებების კავშირების ფორმულირება, ასევე არსებული ფაქტების გაანალიზება, რომელსაც მიყვავართ აღმოჩენების გაკეთებამდე, ვარაუდის გამოთქმასა და თეორემის დამტკიცებისკენ. • გეომეტრიული ფიგურებს და მის
<p>ფაქტობრივი კითხვები:</p> <p>რა?</p>	<ul style="list-style-type: none"> • რას ეწოდება ცენტრული კუთხე? ჩახაზული კუთხე? • რას ეწოდება წრეში ჩახაზული სამკუთხედი? • წრეზე შემოხაზული სამკუთხედი? 								
<p>კონცეპტუალური კითხვები:</p> <p>როგორ? რატომ?</p>	<ul style="list-style-type: none"> • როგორ ხდება ცენტრული კუთხის გამოთვლა? • როგორ ხდება ჩახაზული კუთხის გრადუსული ზომის დადგენა? • როგორ ხდება მხებთან და მკვეთით, ასევე მკვეთებით შედგენილი კუთხის ზომის დადგენა? • როგორ ხდება სამკუთხედზე შემოხაზული ან სამკუთხედში ჩახაზული წრის ცენტრის დადგენა? 								
<p>სადისკუსიო კითხვები</p> <p>მაპროგნოზირებელი კითხვები</p>	<ul style="list-style-type: none"> • არსებობს თუ არა დამოკიდებულება ცენტრულ, ჩახაზულ კუთხესა და იმ რკალს შორის რომელსაც ეყრდნობიან კუთხეები? 								
<p>რა უნდა გაიგოს მოსწავლემ საკითხის შესწავლისას:</p>	<ul style="list-style-type: none"> • აქსიომებზე დაყრდნობით, მართებული მსჯელობითა და არგუმენტებით შესაძლებელია ახალი კანონზომიერებების კავშირების ფორმულირება, ასევე არსებული ფაქტების გაანალიზება, რომელსაც მიყვავართ აღმოჩენების გაკეთებამდე, ვარაუდის გამოთქმასა და თეორემის დამტკიცებისკენ. • გეომეტრიული ფიგურებს და მის 								
<p>კავშირების დამყარება და ამ კავშირებზე ლოგიკური მსჯელობა</p> <p>7. გეომეტრიული პრინციპების ცოდნის გამოყენებით გეომეტრიული ფიგურებისა და მისი ელემენტების (ტოლობა, მსგავსება) დაკავშირება</p>									

82. ა) $3x + 4 \equiv y$; ბ) $x^2 + 1 \equiv y$
 გ) $7x - 6 \equiv y$
 $x^2 + x - 5$ $3x$ $x^2 + x - 5$



ტესტი თვითშემოწმებისთვის: 1. ბ; 2. ბ; 3. გ; 4. დ; 5. ა; 6. ა; 7. ბ; 8. დ; 9. დ; 10. ბ; 11. ბ; 12. ბ; 13. ბ; 14. ა; 15. ბ

<p>ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. რომელიც შეიძლება იყოს ფორმულირებული და დამტკიცებული.</p>	<p>ქვესაკითხები: 10. წრეწირში ჩახაზული ოთხკუთხედი; 11. პროპორციული მონაკვეთები წრეში; 12. წესიერი მრავალკუთხედები.</p>	<ul style="list-style-type: none"> რას ეწოდება წრეში ჩახაზული ოთხკუთხედი? წრეზე შემოხაზული ოთხკუთხედი? რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ოთხკუთხედი, რომ წრეში ჩახაზოს? რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ოთხკუთხედი, რომ წრეზე შემოხაზოს? რას ნიშნავს პროპორციული მონაკვეთები წრეში? რას ეწოდება წესიერი მრავალკუთხედი? 	<ul style="list-style-type: none"> როგორ ფიქრობთ, ნებისმიერ ოთხკუთხედზე შეიძლება წრის შემოხაზვა? პასუხი დაასაბუთეთ. როგორ ფიქრობთ, ნებისმიერ ოთხკუთხედში შეიძლება წრის ჩახაზვა? პასუხი დაასაბუთეთ. 	<ul style="list-style-type: none"> რა პირობას აკმაყოფილებენ წრეში ჩახაზული ოთხკუთხედის კუთხეები? რა პირობას უნდა აკმაყოფილებდეს წრეზე შემოხაზული ოთხკუთხედის გვერდები? პასუხი დაასაბუთეთ. 	<ul style="list-style-type: none"> აქსიომებზე დაყრდნობით, მართებული მსჯელობითა და არგუმენტებით შესაძლებელია ახალი კანონზომიერებების,
<p>ფაქტობრივი კითხვები: რა?</p>			<p>კონცეპტუალური კითხვები: როგორ? რატომ?</p>	<p>სადისკუსიო კითხვები მაპროვოცირებელი კითხვები</p>	<p>რა უნდა გაიგოს მოსწავლემ საკითხის</p>

	<p>შესწავლისას:</p> <p>კავშირების ფორმულირება, ასევე არსებული ფაქტების გაანალიზება, რომელსაც მიგვაგვართ აღმოჩენების გაცხადებამდე, ვარაუდის გამოთქმასა და თეორემის დამტკიცებისკენ.</p> <ul style="list-style-type: none"> • გეომეტრიული ფიგურებს და მის ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. რომელიც შეიძლება იყოს ფორმულირებული და დამტკიცებული. 	
<p>ქვესაკითხი 13: წრეწირის სიგრძე, წრის ფართობი - გაზომვები</p>		
<p>ფაქტობრივი კითხვები: რა?</p>	<p>რას ეწოდება წრეწირის სიგრძე? როგორ გამოითვლება წრის ფართობი? რატომ არის მნიშვნელოვანი პრიციპი?</p>	
<p>კონცეპტუალური კითხვები: როგორ? რატომ?</p>	<p>გაზომე სხვადასხვა წრეწირის სიგრძე ძაფით, შეაფარდე თავისსავე დიამეტრთან და გამოთქვი ვარაუდი. რა შეიძლება დავასკვნათ?</p>	
<p>სადისკუსიო კითხვები მაპროვოცირებელი კითხვები</p>	<p>კოსმოსურ სამყაროში გამოგზავროდ წრეწირის სიგრძისა და წრის ფართობის ცოდნა მნიშვნელოვანია?</p>	
<p>რა უნდა გაიგოს მოსწავლემ საკითხის შესწავლისას:</p>	<p>გეომეტრიული ფიგურებს და ელემენტებს შორის არსებობს გარკვეული კავშირი. რომელიც შეიძლება იყოს ფორმულირებული და დამტკიცებული.</p>	

	<p>ეტაში IV - თუ მოსწავლემ ვერ დასძლია პროგრამა, განმავითარებელი შეფასების მიცემის შემდეგ სასურველია, შეასრულოს დავალება თავიდან (მინიმუმ): შემდეგი კომპლექსური დავალების წარდგენამდე უნდა შეძლოს პარალელურად წინა კომპლექსურის ხარვეზების აღმოფხვრა);</p> <p>კომპლექსური დავალების პრეზენტაციის დროს მოსწავლეებისთვის მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები:</p> <p>სასურველია კითხვები დაისვას ისე, რომ მოსწავლემ გაიაზროს, რას ნიშნავს პრობლემის/საკითხის გადაჭრა (გთავაზობთ, კითხვები დასვათ პოლიას მეთოდით).</p>

	<p>1. პრობლემის/საკითხის გაგება</p> <ul style="list-style-type: none"> • რაში მდგომარეობდა სამუშაო, რა იყო გასაკეთებელი? ჩამოაყალიბეთ თქვენი სიტყვებით. • შეგისრულეუბიათ თუ არა მსგავსი დავალება? <p>2. გეგმის შექმნა</p> <ul style="list-style-type: none"> • როგორ დაგეგმეთ სამუშაო? რა პრობლემა იყო გადასაჭრელი? რა იყო ცნობილი პრობლემიდან? • რა სტრატეგიები დასახეთ დავალების შესასრულებლად? • როგორ წარმართეთ სამუშაო პროცესი? <p>3. გეგმის მიხედვით მუშაობა</p> <ul style="list-style-type: none"> • რა სამუშაოები შეასრულეთ? • რის ცოდნა დაგეგმარათ გამოთვლების წარმოებაში? • რთული იყო თუ არა თქვენთვის მუშაობა? • გაქვთ თუ არა დეტალურად წარმოდგენილი პროცესის აღწერა და დასკვნა? <p>4. შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> • რამდენად რეალისტური გგონიათ კოსმოსის სხვადასხვა ნაწილში მოგზაურობა? • სად შეიძლება გამოგადგეთ მიღებული ცოდნა? 	
--	--	--

II ტაპი

1. ქორდის მართობული დიამეტრის თვისება

რეზიუმე:


მოსწავლეებს გავახსენოთ წრეწირის, წრის, ქორდის და დიამეტრის განმარტებები. შებრუნებული თეორემის დამტკიცება:

განვ. $\triangle AOB$. $AO=OB$, მაშასადამე, სამკუთხედი ტოლფერდაა. ე.ი. OM მედიანა ამავე დროს სიმაღლეცაა. $OM \perp AB$ რ.დ.გ.

სასურველია კლასში გაირჩეს №5, 6 და 7 ამოცანები.

ამოხსნები, მითითებები:

1. ცხადია CD დიამეტრია, ამიტომ $CD=10$. 2. $AK=KB=12$ სმ. 3. $AK=KB=3$ ე.ი. $AB=6$ სმ.



7*. $OM=6$ სმ $ON=10$ სმ
 $MB=AM=ON=10$ ე. ი. $AB=20$
 $CN=AN=OM=6$ ე. ი. $AC=12$

8*. მიღებული მართკუთხედის დიაგონალი რადიუსის ტოლია. მართობის ფუძეების შემაერთებული მონაკვეთი კი მეორე დიაგონალია და, მაშასადამე, ისიც რადიუსის ტოლია და უდრის 10 სმ.

9. უნდა ავაგოთ წრეწირის ნებისმიერი ორი ქორდის შუამართობები. ცხადია წრეწირის ცენტრი იქნება მათი გადაკვეთის წერტილი.

10. 1) მახვილკუთხა სამკუთხედის ყველა გარე კუთხე ბლაგვია. 2) ბლაგვკუთხა სამკუთხედის ორი სიმაღლე სამკუთხედს გარეთაა. 3) ვთქვათ, გააჩნია $\alpha + \beta + \gamma \Rightarrow 2\alpha > 180^\circ$, ე.ი. $\alpha > 90^\circ$ მაშასადამე არ გააჩნია მახვილკუთხას და მართკუთხას. 4) მართკუთხა სამკუთხედის ორი კუთხის ჯამი მესამე კუთხის ტოლია. 5) მართკუთხა და ბლაგვკუთხა სამკუთხედებში უდიდესი გვერდის წინ არ არის მახვილი კუთხე.

11. მითითება: დაამტკიცეთ მოცემული წინადადება ნებისმიერი ოთხკუთხედისთვის.

13. $x^2 - 6xy + 10y^2 - 2y + 8 = x^2 - 6xy + 9y^2 + y^2 - 2y + 1 + 7 = (x - 3y)^2 + (y - 1)^2 + 7$ გამოსახულების უდიდესი მნიშვნელობა იქნება 7, როცა $y=1$ და $x=3$.

2. წრეწირის მხეპი

რეზიუმე:

განვიხილოთ წრეწირის და წრფის ურთიერთმდებარეობის ყველა შესაძლო შემთხვევა. შემოვიტანოთ მკვეთისა და მხეპის ცნებები. მოსწავლეები თვითონ შეძლებენ დაამტკიცონ თეორემა შეხების წერტილში გავლებული რადიუსის შესახებ.

განვმარტოთ კუთხეში ჩახაზული წრეწირი და ნახაზის მიცემის შემდეგ გავაკეთებინოთ მოსწავლეებს შესაბამისი დასკვნები.

ამოხსნები, მითითებები:

1. $\triangle AOB$ -ში $OB=2AO=10$ ე.ი. $BC=15$ სმ, $AB=5\sqrt{3}$
2. მოცემული წრფის ორ პარალელურ წრფეს, რომელთა წრფეებს შორის მანძილი წრეწირების დიამეტრის ტოლია.
3. $\angle OAB$ ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედი ე. ი. $\angle BAO=45^\circ$.
4. $\angle BAO=30^\circ$.
5. მოც. თანახმად, $ABOC$ ოთხკუთხედი რომბია, რომლის $\angle B=\angle C=90^\circ$, ე. ი. კვადრატია და $\angle BAC=90^\circ$.
7. $\triangle ABC$ ტოლგვერდაა ე.ი. 60° .
8. $\triangle MOB$ -ში. $OM=2R=2OB$, ე.ი. $\angle OMB=30^\circ$.
9. 12,4 სმ.
10. მითითება: მოცემული A წერტილი შევავროთოთ წრეწირის O ცენტრთან. წერტილზე გავვლოთ OA წრფის მართობული წრფე.
11. წრეწირის ცენტრი წარმოადგენს B წერტილზე მხების მართობული წრფისა და AB მონაკვეთის შუამართობის გადაკვეთის წერტილს.

3. ორი წრეწირის ურთიერთმდებარეობა

რეზიუმე:

დაფაზე დავხაზოთ და განვიხილოთ სიბრტყეზე ორი წრეწირის ურთიერთმდებარეობის ყველა შესაძლო შემთხვევა.

რა კავშირია ცენტრებს შორის მანძილსა და რადიუსებს შორის ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის?

ამ კითხვაზე მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ შესაბამისი ნახაზების განხილვისას. განვმარტოთ კონცენტრული წრეწირები.


ამოხსნები, მითითებები:

1. ა) $OO_1 = R + r = 15$; ბ) $OO_1 = R - r = 5$.
2. წრეწირის ცენტრები აღვნიშნოთ O_1 , O_2 და O_3 -ით. $O_1O_2=O_2O_3=O_1O_3=2R$ (იხილეთ ამოცანა 4). მიიღება ტოლგვერდა სამკუთხედი, გვერდით $2R$.
3. a წრფის A წერტილზე გავლებულ მართობულ წრფეს A წერტილის გარეშე.


5. შესაძლებელია, თუ ისინი მოძრაობენ კონცენტრულ წრეწირებზე.

6. $AB=7,8+5,8-9,6=4$.

7. $3x+2x-1=9; x=2$. ე.ი. $R=6 \quad r=4$.



8. $AB \perp CD \quad AB=CD=10$. შეხების M და N წერტილებით თითოეული ქორდა იყოფა ტოლ მონაკვეთებად. $AM=MB=CN=ND=5$. $KMON$ კვადრატია და $OM=ON=KM=AM-AK=3$ სმ.



9*. AOK -ში $OK \perp AB$, ე.ი. $\angle OAK=30^\circ \Rightarrow \angle KAM=60^\circ$. მივიღეთ $\triangle AMB$ ტოლგვერდაა $AM=MB=AB=7$ სმ.

10*. მითითება: გავავლოთ წერტილზე წრეწირთა საერთო მხები.

11. 1. სხვადასხვაგვერდა სამკუთხედს არ აქვს ტოლი მედიანები.
2. ტოლგვერდა სამკუთხედში ყველა ბისექტრისა ემთხვევა მედიანას.
3. ტოლფერდა და სხვადასხვაგვერდა სამკუთხედები შეიძლება იყოს მართკუთხა.
4. ტოლფერდა სამკუთხედი ბისექტრისით იყოფა ორ მართკუთხა სამკუთხედად.
5. ტოლფერდა სამკუთხედში ზუსტად ერთი მედიანა ემთხვევა სიმაღლეს.
6. ტოლფერდა და სხვადასხვაგვერდა სამკუთხედებში მედიანების კვეთის წერტილი არ ემთხვევა ბისექტრისების კვეთის წერტილს.

4. წრეწირში ჩახაზული და წრეწირზე შემოხაზული სამკუთხედები

რეზიუმე:


განვმარტოთ წრეწირში ჩახაზული და წრეწირზე შემოხაზული მრავალკუთხედები. პარაგრაფის ბოლოს მოცემული ინდივიდუალური შეკითხვები:

1. ა) არა; ბ) არა.
2. ა) კი. ბ) კი. გ)-ს ა) და ბ) წინადადებების შებრუნებული წინადადებები ჭეშმარიტია, საწინააღმდეგო კი - არა.

ამოხსნები, მითითებები:

1. პასუხი: $C = 10$ სმ. $r = 2,5$ სმ ე.ი. $a+b \quad r = (a + b - c)2 \quad a + b = 15$.

2. რადგან სამკუთხედი ტოლგვერდაა, თითოეული გვერდი ტოლია $2 \cdot 5 = 10$ სმ, $p=30$.



3. სამკუთხედი ტოლფერდაა, ე. ი. $a+x=a+y$ და $x=y$, რ.დ.გ.

4. ააგეთ მოცემული რადიუსის წრეწირი. მისი ნებისმიერი წერტილიდან (როგორც ცენტრიდან) შემოხაზეთ რკალები (რადიუსებით სამკუთხედის გვერდები) მოცემულ წრეწირთან გადაკვეთამდე.


5. $a=3; b=4$ ე. ი. $C=5$. $r = \frac{a + b - c}{2} = 1$

6. $a=3x$ $b=4x$ $c=2R=10$. $r=2$, $R=5$. მივიღეთ $x=2$.

7. ერთ წრეზე არამდებარე სამი წერტილი განსაზღვრავს ერთადერთ სამკუთხედს, წვეროებით ამ წერტილებში და რადგან ნებისმიერ სამკუთხედზე შემოიხაზება წრენიერი, მასთან მხოლოდ ერთი, ამ სამ წერტილზეც შემოიხაზება წრენიერი. მასთან მხოლოდ ერთი.

8. ა) შემოხაზული წრენიერის ცენტრში; ბ) ჩახაზული წრენიერის ცენტრში.

9. იმ სამკუთხედზე შემოხაზული წრენიერის ცენტრში, რომლის წვეროებიც ემთხვევა ბაობაბის ძირებს.



10*. უ.ვ. $\angle AOC$ და $\angle COB$. $\angle COA = 180^\circ - \left(\frac{\angle CAB}{2} + \frac{\angle BCA}{2} \right) = 180^\circ - (12^\circ 30' + 45^\circ) = 180^\circ - 57^\circ 30' = 122^\circ 30'$. $\angle COB = 180^\circ - (45^\circ + 32^\circ 30') = 102^\circ 30'$.

11. $\angle A = 100^\circ$ $\angle B = 50^\circ$ $\angle C = 30^\circ$. O ჩახაზული წრენიერის ცენტრია $\angle AOC = 180^\circ - (50^\circ + 15^\circ) = 115^\circ$.

$\angle BOC = 180^\circ - (25^\circ + 15^\circ) = 140^\circ$. $\angle BOA = 180^\circ - (25^\circ + 50^\circ) = 105^\circ$.

5. წრენიერის რკალი

რეზიუმე:

გავახსენოთ მოსწავლეებს რკალის განმარტება. განვმარტოთ დამატებითი რკალის ცნება. ჩამოვაცალიბოთ თეორემა ტოლი ქორდების შესაბამისი ტოლი რკალების შესახებ. დამტკიცება

მივანდოთ მოსწავლეებს. მოვთხოვოთ მათ ჩამოვაცალიბონ და დაამტკიცონ შებრუნებული თეორემა.

ამოხსნები, მითითებები:

1. მივიღეთ ტოლფერდა სამკუთხედი, რომლის წვეროსთან მდებარე კუთხე რკალის გრადუ-რული ზომა ტოლია და უდრის $180^\circ - 2 \cdot 34^\circ = 112^\circ$.

2. $(180^\circ - 74^\circ) : 2 = 53^\circ$.

3*. ვღებულობთ ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედს და საძიებელი მანძილი ქორდის ნახევრის ტოლია.

4. ქორდის ბოლოების ცენტრთან შეერთებით მიიღება ტოლფერდა სამკუთხედი.

5. იხილეთ ამოცანა 4.

6. თითოეული რკალის ზომაა $360^\circ : 3 = 120^\circ$, რადგან ტოლი ქორდები ტოლ რკალებს ქიმავენ.

7. სამკუთხედის კუთხეების შეფარდებაა 2:5:7, საიდანაც მივიღებთ, რომ ამ სამკუთხედის უდიდესი კუთხეა 90° .

10. ვერცხლი - x $14 \frac{2}{7} = \frac{100}{7}$.

ალუმინი - $2-x$. $x = \frac{100}{7} \cdot \frac{1}{100} (2-x)$
 $7x=2-x$ $8x=2$ $x=0,25$ კგ.

ვერცხლი 0,25კგ, ალუმინი 1,75კგ.

11. I. $\frac{80 \cdot 125}{100} = 100$

II. $\frac{100 \cdot 125}{100} = 125$

6. ჩახაზული კუთხე

რეზიუმე:

ჩახაზული კუთხის განმარტების შემდეგ დავამტკიცოთ თეორემა მისი გრადუსული ზომის შესახებ. შეიძლება სქემატურად მივცეთ მოსწავლეებს წყვილებში დასამტკიცებელი 4 ფაქტი და შემდეგ დამოუკიდებლად დავამტკიცებინოთ ისინი. ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ყველა ეს ფაქტი დასამახსოვრებელი ფაქტია და არა უბრალოდ, ამოცანა.

პარაგრაფში განხილული ამოცანის დასკვნას აგრეთვე გავუსვათ ხაზი, როგორც მნიშვნელოვან ფაქტს.


ამოხსნები, მითითებები:

1. $3x+8x+7x=360^\circ$. $18x=360^\circ$. $x=20^\circ$.

მოცემული რკალებია: 60° ; 160° ; 140° ; ე.ი. კუთხეები ტოლია 30° ; 80° ; 70° .


2. MK რკალი შეიძლება იყოს MN რკალის ნაწილი. ამ შემთხვევაში $\angle KMN = \frac{\widehat{KN}}{2} = \frac{38^\circ}{2} = 19^\circ$.

მეორე შემთხვევაში: $\angle KMN = \frac{\widehat{KN}}{2} = \frac{360^\circ - 106^\circ}{2} = \frac{254^\circ}{2} = 127^\circ$.




3*. $\angle ABC=30^\circ$, ე.ი. $AC=60^\circ$. შევაერთოთ A და C წერტილები O ცენტრთან. AOC ტოლგვერდაა, ე.ი. $AC=R=10$.

4*. მივცეთ შესაბამისი ნახაზი მოსწავლეებს და შევახსენოთ, რომ ანალოგიურ ამოცანებში თუ მითითებული არ არის, თვითონ არიან ვალდებული განიხილონ ყველა შესაძლო შემთხვევა: $\angle ADC=\alpha$ ან $\angle ADC=180^\circ-\alpha$.





5*. $11x+7x=3600$, ე. ი. რკალებს გრადუსული ზომები 140° და 220° .
 $\angle K=360^\circ-(90^\circ+90^\circ+140^\circ)=40^\circ$.

6. ორი შემთხვევაა: თუ D წერტილი აღებულია მცირე AB რკალზე, მაშინ $\angle ADB=120^\circ$, ხოლო თუ D წერტილი აღებულია ACB რკალზე, მაშინ $\angle ADB=60^\circ$.




7*. შევადგინოთ საორიენტაციო ნახაზი. რადგან $\angle C=90^\circ$, ავიღოთ OA მონაკვეთის შუაწერტილი K და KA რადიუსით. შემოვხაზოთ წრეწირი. წრეწირების გადაკვეთის წერტილი იქნება საძიებელი C წერტილი.





8*. წრენირის ცენტრი იქნება კუთხის ბისექტრისის და AB მონაკვეთის შუამართობის გადაკვეთის წერტილი.

9. მოცემული კუთხის ბისექტრისას კუთხის წვეროს გარეშე.



10. $AB \parallel CD \Rightarrow LB = LC \Rightarrow \overline{AC} = \overline{BD}$ რ.დ.გ.

13. $|2x-2|=8$ $2x-2=8$ ან $2x-2=-8$, ე.ი. $x=5$ ან $x=-3$. $|3x+2|=7$ $x=5$ ან $x=-\frac{19}{3}$.
ორივე ტოლობა სრულდება $x=5$ -სთვის.

14. ა) $(3\sqrt{2})\Delta 6 = (\frac{1}{3} \cdot 3 + \frac{2}{3} \cdot 2) \cdot \frac{2}{3} + \frac{1}{3} \cdot 6 = \frac{32}{9}$; ბ) $\frac{1}{3}x + \frac{2}{3} \cdot 6 = \frac{2}{3}x + \frac{1}{3} \cdot 9$, საიდანაც $x=3$.

7. მხეზითა და ქორდით შედგენილი კუთხე

რეზიუმე:

განვმარტოთ მხეზითა და ქორდით შედგენილი კუთხე და დავამტკიცოთ თეორემა მისი გრადუსული ზომის შესახებ.

შემოვიტანოთ წრენირთან დაკავშირებული სხვა კუთხეების ცნებები: კუთხე წვეროთი წრენირის შიგნით, კუთხე წვეროთი წრენირით გარეთ (კერძოდ, მხეზებით შედგენილი კუთხე, რომელიც განხილულია ამოცანაში და რომელსაც აუცილებლად უნდა გავუსვათ ხაზი, როგორც დასამახსოვრებელ ფაქტს).

ამოხსნები, მითითებები:

1. თუ AK წრენირთან გადაკვეთის წერტილს აღვნიშნავთ N ასოთი, მაშინ $\angle AND = \frac{\overline{AMD}}{2}$, ხოლო $\angle AKD > \angle AND$ ($\angle AKD$ გარე კუთხეა $\angle NKD$ სამკუთხედის).

2. $\angle ANC = \frac{\overline{AMC}}{2}$, ხოლო $\widehat{ANC} > \widehat{ABC}$.

6. α არის მხეზითა და ქორდით შედგენილი კუთხე, ხოლო ქორდა მოჭიმავს 120° -იან რკალს, ე. ი. $\alpha = 60^\circ$.

9. ა) $\angle ABC = 180^\circ - 80^\circ = 100^\circ$; ბ) 180° .

10. $3x = 180^\circ$ $x = 60^\circ$; 60° ; 120° .

13. ა) $25x + 600 = 35x$ $x = 60$ ფირმა არც იზარალებს და არც მოიგებს.
ბ) $25x + 600 + 1000 = 35x$. $x = 160$;

14*. ცხადია, თითოეული შემთხვევისათვის ორივე შესაკრებები ნულის ტოლია.

ა) $x=-3$ $y=4$; ბ) $x=-\frac{1}{2}$ $y=4$; გ) არა აქვს ამონახსნი;


დ) $x=\pm 1$ $y=\pm 4$. ოთხი ამონახსნი.

8. მართკუთხა სამკუთხედის თვისებები


რეზიუმე:

მოსწავლეს უნდა შეეძლოს მართკუთხა სამკუთხედის თვისებების ჩამოყალიბება; მახვილი კუთხეების ჯამის შესახებ; სიმაღლის გავლების შედეგად მიღებული სამკუთხედების შესახებ და პარაგრაფში განხილული თვისებები.

ამოხსნები, მითითებები:




$$H = \frac{6}{2} = 3$$



$$AK=KB \Rightarrow \angle A = \angle ABK = \alpha$$

$$BK=KC \Rightarrow \angle C = \angle CBK = \beta$$

განვ. $\triangle ABC$. $\alpha + \alpha + \beta + \beta = 180^\circ \Rightarrow \alpha + \beta = 90^\circ \Rightarrow \angle ABC = 90^\circ$. რ.დ.გ.



განვ. $\triangle BKC$. $\angle K = 90^\circ$.

$$BK = \frac{BC}{2} \Rightarrow \angle C = 30^\circ$$

განვ. $\triangle ABC$. $\angle B = 90^\circ$. $\angle C = 30^\circ \Rightarrow \angle A = 60^\circ$.

4. მითითება: ააგეთ მართკუთხა სამკუთხედი კათეტიტ და ჰიპოტენუზით. ამასთან, კათეტის სიგრძე აიღეთ ჰიპოტენუზის ნახევარი.

7. ჰიპოტენუზის სიგრძეა 20სმ, მედიანის კი 10სმ.


ტესტი: 1. ბ; 2. გ; 3. გ; 4. ბ; 5. ბ; 6. დ; 7. გ; 8. ა; 9. ბ; 10. ა;

11. $\overline{abc} - \overline{cba} = 100a + 10b + c - 100c - 10b - a = 9 \cdot 11(a - c)$. $a - c \neq 11$, ანუ არ შეიძლება.

9. ორი წრენილის საერთო შიგა და საერთო გარე მხეპი

რეზიუმე:

გაკვეთილი ჯგუფური მეცადინეობისთვისაა მიზანშეწონილი. მივცეთ ყველა საერთო მხეპის შესაბამისი ნახაზი და ოთხივე ამოცანა მივცეთ სამუშაოდ. განსაკუთრებული ყურადღება გავუმახვილოთ დასამტკიცებელ ამოცანებზე, ვთხოვთ მოსწავლეებს რომ პასუხები დაიმასსოვრონ. პარაგრაფში დასმულ შეკითხვებზე პასუხების გაცემის დროს დააკონკრეტონ, როდის არის შესაძლებელი ესა თუ ის ფაქტი.



განვიხილოთ პარაგრაფში დასმული მე-4 ამოცანა:
 გავატაროთ $BK \parallel O_1O_2$. ABK მართკუთხა სამკუთხედში
 $BK = O_1O_2 = R+r$, $AK = O_1A - O_1K = R-r$. პითაგორას თეორემის
 თანახმად: $AB = \sqrt{(R+r)^2 - (R-r)^2} = 2\sqrt{Rr}$.

ამოხსნები, მითითებები:


2. თუ მე-4 ამოცანაში დამტკიცებულ ფორმულას დაიმასსოვრებენ, პასუხს ადვილად იპოვიან. $AB = 2\sqrt{Rr} = 40$.

3. $27+13 < 50$, ე.ი. გარე მხეპის სიგრძე $= \sqrt{OO_1^2 - (R-r)^2} = \sqrt{50^2 - 14^2} = \sqrt{36 \cdot 64} = 48$. შიგა მხეპის სიგრძე $= \sqrt{OO_1^2 - (R+r)^2} = \sqrt{50^2 - 40^2} = \sqrt{10 \cdot 90} = 30$.

$$\begin{aligned} 4. \quad 63^2 &= 65^2 - (R-r)^2 & (R-r)^2 &= 256 & R-r &= 16 \\ 25^2 &= 65^2 - (R+r)^2 & (R+r)^2 &= 3600 & R+r &= 60 \end{aligned}$$

საიდანაც $R=38$, $r=22$.

$$\begin{aligned} 5. \quad OO_1^2 - (R+r)^2 &= \frac{4}{9}(OO_1^2 + (R-r)^2) & R &= 5; & r &= 2 \\ 9 \cdot OO_1^2 - 9 \cdot 49 &= 4 \cdot OO_1^2 + 36 \\ 5 \cdot OO_1^2 &= 405 & OO_1 &= 9 \end{aligned}$$



$$6. \quad R=11 \quad r=9.$$

$$a) \text{ საერთო შიგა მხეპი} = \sqrt{26^2 - 20^2} = \sqrt{6 \cdot 46} = 2\sqrt{69};$$

$$\text{საერთო გარე მხეპი} = \sqrt{26^2 - 2^2} = \sqrt{24 \cdot 28} = 4\sqrt{42}.$$

ბ) წრენილების, რომელთა ცენტრები OP წრფეზეა და რომლებიც ეხებიან მოცემულ წრენილებს, დიამეტრებია MN და PK ე. ი. პირველი წრენილის რადიუსი იქნება $\frac{OP - (R+r)}{2} = 3$, ხოლო მეორესი $\frac{OP + (R+r)}{2} = \frac{46}{2} = 23$.

$$7. \quad r = 2; \quad R = 2r = 4. \text{ მართკუთხედის გვერდებია } 2 \text{ და } 8. \quad S = 8\sqrt{3}$$

10. წრენიში ჩახაზული ოთხკუთხედი

რეზიუმე:

გავახსენოთ მოსწავლეებს, რომ ყველა სამკუთხედზე შემოიხაზება წრენი და სად მდებარეობს შემოხაზული წრენის ცენტრი. ნახაზებით ადვილად დარწმუნდებიან, რომ ოთხკუთხედების შემთხვევაში ასე არ არის.


თეორემა ჩახაზული ოთხკუთხედის მოპირდაპირე კუთხეების ჯამის შესახებ დავამტკიცებინოთ შესაბამისი კითხვების დასმით, ანალოგიურად შებრუნებული თეორემაც.

დასკვნა – სად მდებარეობს შემოხაზული წრენის ცენტრი მასწავლებელმა უნდა განავრცოს არა მარტო ოთხკუთხედებისთვის, არამედ ნებისმიერი მრავალკუთხედისთვის, რომელიც წრენიში ჩაიხაზება.

ამოხსნები, მითითებები:

1. $\angle A = \angle B = \angle C = \frac{360^\circ - 102^\circ}{3} = \frac{258^\circ}{3} = 86^\circ$.

2. 40° -ის მოპირდაპირე კუთხე იქნება $180^\circ - 40^\circ = 140^\circ$. დანარჩენი ორი კუთხე 90° -ის ტოლია.



$\angle MON = 130^\circ$.

MBNO ოთხკუთხედში $\angle M = \angle N = 90^\circ$, ე.ი. $\angle B = 180^\circ - 130^\circ = 50^\circ$.

4. 75° -იანი კუთხის მოპირდაპირე კუთხეა $180^\circ - 75^\circ = 105^\circ$, ხოლო ოთხკუთხედის მეოთხე კუთხეა $180^\circ - 55^\circ = 125^\circ$.

5. ამოცანას პირობიდან ჩანს, რომ AC დიამეტრი, ე. ი. $\angle B = \angle D = 90^\circ$, ხოლო $\angle C = 180^\circ - 70^\circ = 110^\circ$.

6. რადგან $\angle B = \angle D = 90^\circ$, ამ ოთხკუთხედზე შემოხაზეთ წრენი და $\angle CAB = \angle CDB = 40^\circ$, როგორც ერთ რკალზე დაყრდნობილი კუთხეები, ხოლო $\angle BDA = 90^\circ - 40^\circ = 50^\circ$ $\angle DKC = 8^\circ$.

7. რადგან $\angle ABC + \angle ADC = 180^\circ$, ე. ი. ამ ოთხკუთხედზე შემოიხაზება წრენი. იხილეთ მე-6 ამოცანა.

8. 1) თუ პარალელოგრამს აქვს მართი კუთხე, იგი მართკუთხეა.

2) ვერც ერთი ჩამოთვლილი მრავალკუთხედის ფართობს მარტო ორი გვერდით ვერ გამოვთვლით.

3) სამკუთხედი და პარალელოგრამი.

4) ეს მრავალკუთხედი არის ტრაპეცია.

5) ეს მრავალკუთხედი ტრაპეცია.

6) ეს მრავალკუთხედი არის პარალელოგრამი.

11. წრენირზე შემოსაზული ოთხკუთხედი

რეზიუმე:

გაკვეთილი წინა გაკვეთილის ანალოგიურად წარმართება. მნიშვნელოვანია დასკვნა: თუ მრავალკუთხედში ჩაიხაზა წრენირი, სად მდებარეობს ამ წრენირის ცენტრი.

ამოხსნები, მითითებები:

3. რადგან ოთხკუთხედი შემოსაზულია, ე. ი. მოპირდაპირე გვერდების ჯამი ტოლია $P=2 \cdot (6+9)=30$.

4. ოთხკუთხედის გვერდებია $2x$; $3x$; $4x$ და $3x$ ე.ი. $2 \cdot 6x=24$, $x=2$ 4; 6; 8; 6.

5*. რადგან სამი ბისექტრისა ერთ წერტილში იკვეთება, ამ ოთხკუთხედში წრენირი ჩაიხაზება. ე.ი. მეოთხე ბისექტრისაც გაივლის ამ წერტილზე (ამ წრენირების ცენტრებზე). რ.დ.გ.

6*. მითითება: აჩვენეთ, რომ წრენირი, დიამეტრით ის დიაგონალი, რომელიც მეორეს შუაზე ყოფს, გაივლის დანარჩენ ორ წვეროზეც.

7. $P=2(4+4)=16$.

8. რომბში ჩახაზული წრენირის დიამეტრი ამ რომბის სიმაღლის ტოლია. ე. ი. $r=4$ სმ.

9. სიმაღლე ტრაპეციაში და რომბში ჩახაზული წრენირის დიამეტრის ტოლია. ე. ი. $h=6$ სმ.

10. $S=pr$, ე. ი. $240=30r$. $r=8$.

11. $20\text{დმ}^2=2000\text{სმ}^2$, ე.ი. $2000=25p$ $p=80$ სმ. პერიმეტრი ტოლია 160 სმ ან 16 დმ.

12. ვიპოვოთ რადიუსი $r=\sqrt{64+225}=17$. $S=pr=100 \cdot 17=1700\text{სმ}^2$.

13. $S=pr$. ე.ი. $84=21r$, $r=4$.

14. $S = \frac{1}{2} d_1 d_2$, $144 = \frac{1}{2} x \cdot 2x$, $x=12$, $d_1=12$, $d_2=24$.

15*. $d_1 + d_2 = 7$ $S = \frac{1}{2} d_1 d_2 = 6 \Rightarrow d_1 d_2 = 12$

მივიღეთ სისტემა $\begin{cases} d_1 + d_2 = 7 \\ d_1 d_2 = 12 \end{cases} \Rightarrow \begin{cases} d_1 = 3 \\ d_2 = 4 \end{cases}$

12. პროპორციული მონაკვეთები წრეში

რეზიუმე:

მხებისა და მკვეთის ცნებების გახსენების შემდეგ მოსწავლეებს ვავალებთ პარაგრაფის დასაწყისში მოცემული ამოცანის ამოხსნას, შემდეგ ვამტკიცებთ თეორემებს და ვარჩევთ პარაგრაფში განხილულ ამოცანას.

ამოხსნები, მითითებები:

1. $x^2=3 \cdot 48$, საიდანაც $x=12$.

2. $x(18-x)=18 \cdot 4$, საიდანაც $x=6$. მონაკვეთების სიგრძეებია 6 და 12.

3*. $4(2R-4)=8 \cdot 8$, საიდანაც $R=10$.

4. $x^2 = 4 \cdot 9 \Rightarrow x = 6$

5. უდიდესი მკვეთი ცენტრზე გადის $50(50-2R)=400$, $R=21$.

6. მხები — x , მხების გარე მონაკვეთი $x-8$, შიგა მონაკვეთი — $x+20$.
 $x^2=(x-8)(2x+12)$, საიდანაც $x=12$.


7. მხები — $2x$, მკვეთის შიგა მონაკვეთი $3x$.

$4x^2=(12-3x) \cdot 12$ $x=3$.

მხები — 6სმ.

11. $4 \cdot 6 = 3x \cdot 8x$ $x = 1$

22. $x \cdot (32 - x) = 12 \cdot 16$ საიდანაც $x = 8$; 24;




13. წესიერი მრავალკუთხედიები

რეზიუმე:

პარაგრაფში გარჩეული ორი ამოცანა საკმარისია იმისთვის, რომ მოსწავლეებმა შეასრულონ პარაგრაფში მოცემული დავალებები. სასურველია, ამ გარჩეული ამოცანების პრეზენტაციისას მასწავლებელმა სთხოვოს მოსწავლეებს ზოგადად ჩამოაყალიბონ: ა) თუ ჩახაზულია წრენიში წესიერი n -კუთხედი, როგორ ჩახაზონ $2n$ -კუთხედი. ბ) თუ ჩახაზულია წესიერი n -კუთხედი, როგორ შემოხაზონ წესიერი n -კუთხედი, წესიერი $2n$ -კუთხედი.

ამოხსნები, მითითებები:

1. წრენიში A_1, A_2, \dots, A_6 წერტილებით გაიყოფა 6 ტოლ ნაწილად. ცხადია, მრავალკუთხედი იქნება წესიერი.



4. ა) გავავლოთ ორი ურთიერთმართობული დიამეტრი, ყველა შემდეგ შემთხვევაში გავყოთ მიღებული მრავალკუთხედის გვერდი ორ ტოლ ნაწილად

და გავავლოთ ამ წერტილზე რადიუსი.

8. ა) 25%-იან სექტორს შეესაბამება სრული კუთხის მეოთხედი, ე.ი. 90° ;

ბ) $360^\circ \text{ — } 100\%$

$$45^\circ \text{ — } x \quad x = \frac{45 \cdot 100}{360} = 12,5\%.$$

$$10. \frac{10 + 20 + \dots + 100 + \dots + 180 + 190}{19} = \frac{(10 + 190) + (20 + 180) + \dots + (90 + 110) + 100}{19} = \frac{1900}{19} = 100.$$

$$11. a^3 = 2^3 = 2000 \text{ კგ.} \quad \left(\frac{a}{2}\right)^3 = \frac{a^3}{8} = 250 \text{ კგ.}$$

12. $n-5$; $n-4$; $n-3$; $n-2$; $n-1$; n – ჯამი $5n-15$.

n ; $n+1$; $n+2$; $n+3$; $n+4$; $n+5$ – ჯამი $5n+15$.

სხვაობა 30-ის ტოლია.

14. წრენილის სიგრძე, წრის ფართობი

რეზიუმე:

წინა პარაგრაფში შესრულებული პრაქტიკული სავარჯიშოები დაეხმარება მოსწავლეებს იმის აღქმაში, რომ წრენილში ჩახაზული ან წრენილზე შემოხაზული წესიერი მრავალკუთხედის გვერდების რაოდენობას რაც უფრო გავზრდით, მით უფრო ახლოს იქნება მრავალკუთხედის პერიმეტრი წრენილის სიგრძესთან.

ამოხსნები, მითითებები:

3. რადიუსის ტოლი ქორდის მიერ მოჭიმული რკალის გრადუსული ზომა 60° -ია, ე.ი. რკალის სიგრძეა $\frac{2\pi r \cdot 60}{360} = \frac{\pi r}{3}$.

$$5. 2\pi R = 64\pi. \quad R = 32.$$

$$6. \text{ ა) } \frac{\pi \cdot 4}{180} \cdot n = 2\pi, \quad n = 90^\circ. \quad \text{ ბ) } \frac{4\pi}{180} \cdot n = \frac{\pi}{2}, \quad n = 22,5^\circ.$$

$$7. \frac{\pi R}{180} n = R, \quad n = \frac{180^\circ}{\pi}.$$

$$8. \text{ შეიძლება პროპორციით } 36^\circ - 45 \\ 360^\circ - 1 \\ l = 450.$$

9. წესიერი ექვსკუთხედის გვერდი მასზე შემოხაზული წრენილის რადიუსის ტოლია, $a_6 = R$.
 $2\pi R = 6R + 7. \quad R = \frac{7}{2\pi - 6}. \quad l = \frac{7\pi}{\pi - 3}.$

$$10. \text{ ა) } 60\pi = \frac{\pi R \cdot 60}{180}, \quad R = 180, \quad \text{ქორდის სიგრძე} = R = 180;$$


$$\text{ ბ) } 60\pi = \frac{\pi R \cdot 90}{180}, \quad R = 120, \quad \text{ქორდის სიგრძე} = R\sqrt{2} = 120\sqrt{2};$$

$$\text{ გ) } 60\pi = \frac{\pi R \cdot 120}{180}, \quad R = 90, \quad \text{ქორდის სიგრძე} = R\sqrt{3} = 90\sqrt{3}.$$

13. ა) $S = \pi R^2 - 2R^2 = R^2(\pi - 2)$; ბ) $a = R\sqrt{3}$ $S = \pi R^2 - \frac{a^2\sqrt{3}}{4} = \pi R^2 - \frac{3R^2\sqrt{3}}{4} = R^2 \cdot \left(\pi - \frac{3\sqrt{3}}{4}\right)$.
 გ) $\pi R^2 - \frac{3}{2}R^2\sqrt{3} = R^2 \cdot \left(\pi - \frac{3\sqrt{3}}{4}\right)$.


15. რამდენიმე საინტერესო ამოცანა

ამოხსნები, მითითებები:




1. $AC = AD$
 $S = 18$; $\sin \alpha = \frac{4}{5}$ $\triangle ACM$ -დან $\frac{AM}{AC} = \frac{4}{5}$. შემოვიღოთ აღნიშვნა $AM = 4x$, ე.ი.
 $AC = 5x$. $CM = 3x = MD$. $\triangle CKD$ -ში $\frac{CK}{CD} = \frac{4}{5}$, ე.ი. $CK = \frac{24x}{5} = AB$, $\triangle ABC$ -დან

$BC = \sqrt{(5x)^2 - \left(\frac{24x}{5}\right)^2} = \frac{7x}{5}$ $S_{ABCD} = (BC + AD) \cdot \frac{CK}{2} = \left(\frac{7x}{5} + 5x\right) \cdot \frac{24x}{10} = 18$, საიდანაც $x = \frac{5\sqrt{3}}{8}$.
 $CK = \frac{24}{5} \cdot \frac{5}{8} \sqrt{3} = 3\sqrt{3}$



2. $BK - r = m = \frac{5}{\sqrt{2}} \sin \alpha = \frac{3}{5}$. მოც. თანახმად, თუ O ჩახაზული წრის ცენტრია
 $BO = m$ თუ $\sin \alpha = \frac{3}{5}$ $\cos \alpha = \frac{4}{5}$ $\triangle BOM$ -დან $OM = r = m \cos \alpha = 2\sqrt{2}$; $\triangle ABK$ -ში
 $BK = m + r = \frac{9\sqrt{2}}{2}$ $AB = \frac{15\sqrt{2}}{2}$.

$AK = AB \cos \alpha = 6\sqrt{2}$ $S = \frac{1}{2} \cdot 12\sqrt{2} \cdot \frac{9\sqrt{2}}{2} = 54$.



3. $\angle ABC = \alpha$, ე.ი. $\angle ABK = \angle CBK = \frac{\alpha}{2}$. განვიხილოთ $\triangle BOM$ $\operatorname{tg} \frac{\alpha}{2} = \frac{1}{2}$.

$OM = OK = r$ $BM = 2r$ $BO = r\sqrt{5}$, ე.ი. $BK = r(\sqrt{5} + 1)$.

$AK = BK \operatorname{tg} \frac{\alpha}{2} = r(\sqrt{5} + 1) \cdot \frac{1}{2} = \frac{r\sqrt{5} + 1}{2}$, ე.ი. $AC = r(\sqrt{5} + 1)$.


$S = \frac{1}{2} r(\sqrt{5} + 1) \cdot r(\sqrt{5} + 1) = \frac{4}{9} (3 + \sqrt{5})$.

4. ტრაპეციის სიმაღლე აღვნიშნოთ h-ით. ფუძეები კი — a და b-თი, მაშინ ფერდის სიგრძეა $\frac{a+b}{2}$. $P = 2(a+b) = 48$, ე.ი. $a+b = 24$. სიმაღლის გავლებით მიღებული მართკუთხა სამკუთხედიდან გამომინარეობს, რომ $h = \frac{a+b}{6} = 4$. $S = \frac{a+b}{2} \cdot h = \frac{24}{2} \cdot 4 = 48$.

II თავის დამატებითი სავარჯიშოები

2. ქორდის ბოლოებზე გავავლოთ რადიუსები. მიღებულ სამკუთხედში ფუძესთან მდებარე კუთხეებია 30° . საძიებელი მონაკვეთის სიგრძე რადიუსის სიგრძის ნახევრის ტოლია.

3. AB და CD პარალელური 90° -იანი რკალების მომჭიმავე ქორდებია. $\triangle AOB$ და $\triangle COD$ ტოლი, ტოლფერდა მართკუთხა სამკუთხედებია. მანძილი AB და CD ქორდებს შორის არის ამ სამკუთხედების მედიანების ჯამი და ტოლია 12-ის.




4. ცენტრებს შორის მანძილი რადიუსების ჯამის ტოლია.

5. მიღებული სამკუთხედის პერიმეტრი დიდი წრეწირის დიამეტრის ტოლია.


6*. AOC სამკუთხედი ტოლფერდაა (O – წრეწირის ცენტრია). გვაქვს 2 შემთხვევა — B წერტილი მცირე AC რკალზეა. ამ შემთხვევაში $\angle ABC=150^\circ$ სნ B წერტილი მის დამატებით რკალზეა, მაშინ $\angle ABC=30^\circ$.

7. $\angle ABC=30^\circ$, მაშინ $\angle AOC=60^\circ$ და $\triangle AOC$ ტოლფერდაა, $AC=5$.



10*. I გზა: $\overset{\frown}{AB} = \overset{\frown}{BC} = 60^\circ$, $\triangle ABO = \triangle BOC$ ტოლფერდებია, ე.ი. $AB=BO=2$. დიამეტრი 4 სმ-ის ტოლია.

II გზა: რადგან $\angle BAC=30^\circ$, ე.ი. $\overset{\frown}{AB} = 60^\circ$, $AB=2$ არის რადიუსის ტოლი ქორდა.



12. $\angle MBN = \frac{\overset{\frown}{MN}}{2} = 20^\circ$, $\overset{\frown}{MN} = 40^\circ$.


$\angle A = \angle C = \frac{\overset{\frown}{NMB}}{2} = 70^\circ$, ე.ი. $\overset{\frown}{NMB} = 140^\circ$.

მივიღეთ $\overset{\frown}{MB} = 100^\circ$; $\overset{\frown}{NC} = 40^\circ$.

13. ა) $\angle AOC = 2\overset{\frown}{B} = 100^\circ$; ბ) $\overset{\frown}{ABC} = 360^\circ - 252^\circ = 108^\circ = \angle AOC$.


14. I შემთხვევა – ცენტრი სამკუთხედის გარეთაა. $\angle AOC = 180^\circ - 2 \cdot 20^\circ = 140^\circ$, ე.ი. $\overset{\frown}{ABC} = 140^\circ$ და $\angle ABC = \frac{360^\circ - 140^\circ}{2} = 110^\circ$, ე.ი. $\angle BAC = \angle BCA = 35^\circ$.

II შემთხვევა — O ცენტრი სამკუთხედის შიგნითაა. $\angle AOC = 140^\circ$, $\angle ABC = \frac{\angle AOC}{2} = 70^\circ$, $\angle BAC = \angle BCA = 55^\circ$.




15. $\frac{AB}{AC} = \frac{12x}{10x} = \frac{6}{5}$

- 16*. $\angle CAO_1=30^\circ$, ე.ი. $AO_1=2BO_1=8$
 $AO=AO_1+OO_1=8+4+R=12+R$
 $\triangle ACO$ -ში $AO=2CO$, ე.ი. $12+R=2R$, $R=12$.




17. $(\angle BAC=74^\circ) \Rightarrow \widehat{BC}=148^\circ$. $\angle BMC=180^\circ-\widehat{BC}=32^\circ$.



- მოც. $\widehat{MB}:\widehat{AM}=5:2$
 $\angle BAM=90^\circ$, ე.ი. $\widehat{BM}=180^\circ$.
 $5x=180^\circ$ $x=36^\circ$.
 $\widehat{AM}=72^\circ$, ე.ი. $\widehat{AB}=180^\circ-72^\circ=108^\circ$.

19. ფუძე გაიყოფა 3 სმ-ის ტოლ ორ მონაკვეთად, ე.ი. ფერდის მონაკვეთებია 3 სმ და 6 სმ.




- 21*. სამკუთხედი AOB ტოლგვერდაა, ე.ი. $AB=BC=R=10$,
 $BK=0,5AB=5$.

- 23*. AB და AC ქორდებია, AD დიამეტრია, მაშინ $\triangle ABD=\triangle ACD$ (ჰიპოტენუსით და მახვილი კუთხით), ე.ი. $AB=AC$.


- 24*. $\triangle AOB$ და $\triangle AO_1B_1$ ტოლფერდა სამკუთხედებია. ე. ი. OO_1 წარმოადგენს AB-ს შუა მართობს.


25. ამოცანის პირობიდან გამომდინარეობს, რომ $\widehat{AB} = \widehat{CD}$, საიდანაც $AB=CD=10$ სმ.



- 28*. სამკუთხედზე შემოხაზული წრენირის ცენტრი მისი გვერდების შუამართობების კვეთის წერტილია, საიდანაც ვასკვნიტ, რომ ცენტრი მდებარეობს თითოეულ შუამართობზე. ანალოგიური მსჯელობით მივიღებთ, რომ ჩახაზული წრენირის ცენტრი მდებარეობს თითოეულ ბისექტრისაზე, რადგან ტოლფერდა სამკუთხედში წვეროსთან მდებარე კუთხის ბისექტრისა ამავე დროს შუამართობსაც წარმოადგენს, ე.ი. ორივე ცენტრი იქნება ფუძის სიმაღლის შემცველ წრფეზე.

29. უმცირესი დახრილის სიგრძე, რაც 20 სმ-ის ტოლია, უდიდესი დახრილი 2-ჯერ მეტია, ე.ი. 40 სმ.







32*. $AM=AN=5$. $BM=BK$ და $CN=CK$.

$$P_{ABC}=AB+BC+AC=AB+BK+KC+AC=AB+BM+CN+AC=AM+AN=10.$$

მოსწავლეებს უნდა ვუთხრათ, რომ მიღებულ წრენიის ABC სამკუთხედისთვის ენოდება გარე ჩახაზული წრენი. წრენი-რი ეხება სამკუთხედის ერთ გვერდს (BC) და ორი გვერდის გაგრძელებას. ამასთან, მათ უნდა დაიმახსოვრონ ის ფაქტი, რომ თუ გარე ჩახაზული წრენიის მხების სიგრძე არის x ($AM=AN=x$, მაშინ $P_{\Delta ABC}=2x$. სასურვე-ლია მოსწავლეებს ვთხოვოთ დაამტკიცონ, რომ $\angle A$, $\angle BCN$ და $\angle CBM$ -ის ბისექტრისები ერთ წერტილში იკვეთება.

33*. $AB=70^\circ$. $BC \perp AB$. ე.ი. $AC=180^\circ$.
 $BC=180^\circ-70^\circ=110^\circ$.



34*. $\angle M=18^\circ$. $CM=OC$, ე.ი.
 $\angle COA=\angle M=\angle AC=18^\circ$.

$$\angle M = \frac{\overset{\frown}{BD} - \overset{\frown}{AC}}{2}, 36^\circ = \overset{\frown}{BD} - 18^\circ. \overset{\frown}{BD} = 54^\circ = \angle BOD.$$

35. $l=2\pi k$ ა) $l=4\pi$; ბ) $l=10\pi$

36. სასურველია მოსწავლეებს ახსოვდეთ ფორმულები ტოლგვერდა სამკუთხედისთვის:

$$S = \frac{a^2\sqrt{3}}{4}; R = \frac{2}{3}h; r = \frac{1}{3}h$$

$$S = \frac{a^2\sqrt{3}}{4} = 25\sqrt{3} \Rightarrow a = 10 \Rightarrow h = \frac{a\sqrt{3}}{2} = 5\sqrt{3}$$


$$R = \frac{2}{3} \cdot 5\sqrt{3} = \frac{10\sqrt{3}}{3} \quad l = 2\pi R = \frac{20\sqrt{3}}{3}\pi$$

37. $S = a^2 = 18 \Rightarrow a = 3\sqrt{2}$ კვადრატის დიაგონალის სიგრძე იქნება 6 ე.ი. $R = 3$ $S_{\text{წრ}} = \pi R^2 = 9\pi$.

$$38. r = \frac{a}{2} = \frac{5\sqrt{2}}{2} \quad S = \pi r^2 = \frac{25 \cdot 2\pi}{4} = 12,5\pi$$

39. გამოვიყენოთ ფორმულა, რომ მხებებით შედგენილი კუთხე გამოითვლება $180^\circ - \alpha$, სადა α შესაბამისი რკალის გრადუსული ზომაა. მივიღებთ $37^\circ = 180^\circ - \alpha \Rightarrow \alpha = 143^\circ$ რკალის ზომებია 143° , 143° , 37° , 37° .


40. რომბის სიმაღლე 4 სმ-ია (300-იანი კუთხის მოპირდაპირე კათეტი). ამ და ანალოგიურ ამოცანებში ხაზი უნდა გაესვას, რომ პარალელურ წრფეებს შორის ჩახაზული წრენიის რა-დიუსის სიგრძე ამ პარალელურ წრფეებს შორის მანძილის ნახევრის ტოლია. $r = 2$



43*. $AD=130^\circ$, $CD=30^\circ$. რადგან BD დიამეტრია, ამიტომ მცირე რკალი $AB=180^\circ-130^\circ=50^\circ$ და $BC=150^\circ$.

$$\alpha = \frac{50^\circ + 30^\circ}{2} = 40^\circ. \text{ (}\alpha \text{ არის კუთხე, რომლის წვერო წრენირის შიგნი-თაა, } \Delta ABO \text{ ტოლგვერდაა, } AB=OB=OA=1=R\text{)}$$

44. რადგან დიაგონალებს შორის კუთხე 60° -ია, საიდანაც $R=1\text{მ}$.



46*. $ABCD$ ტრაპეციაში $AB+CD=BC+AD=\frac{P_{ABCD}}{2}=6$, ე.ი. $\frac{BC+AD}{2}=3$.


47. რადგან შუამონაკვეთია 1 მ. ე.ი. ფუძეების ჯამია 2 მ. მაშასადამე, ფერდების ჯამიც 2 მ-ია, ე.ი. ფერდის სიგრძეა 1 მ. სიმაღლე $0,5$ მ. რადიუსი კი სიმაღლის ნახევარია და ტოლია $0,25$ მ.

48. $r = 9$, ე.ი. $ABCD$ ტრაპეციის ($BC \parallel AD$; $AB \perp AD$). $AB=2r=18$. თუ C წვეროდან AD -ზე დავუშვებთ CK მართობს; CKD მართკუთხა სამკუთხედში ($\angle D=30^\circ$) $CD=2CK=36$.


$$\frac{BC+AD}{2} = \frac{AB+CD}{2} = \frac{18+36}{2} = 27.$$

49*. მოც.: $ABCD$ ტრაპეცია. $AB=2r=12$, რადგან ტრაპეცია შემოხაზულია $AB+CD=BC+AD=36$. ე.ი. $CD=24$. თუ დავუშვებთ $CK \perp AD$ მივიღებთ მართკუთხა სამკუთხედს, სადაც CK კათეტი CD ჰიპოტენუზაზე ორჯერ ნაკლებია, ე.ი. $\angle D=30^\circ$.

50. $x^2 = 8 \cdot 18 \quad x = 12$



51. დიაგონალის სიგრძეა 13 . $R=6,5$.



52*. $r=ON=OM=2$

$AC=3x+2$; $BC=2x+2$.


ვწერთ პითაგორას თეორემას:

$$(3x+2)^2 + (2x+2)^2 = (5x)^2.$$

საიდანაც მივიღებთ, რომ $x=2$; $AC=8$; $BC=6$; $AB=10$.

53*. კათეტებია $20x$ და $21x$, ჰიპოტენუზის სიგრძეს ვიღებთ $29x$. შემოხაზული წრენირის რადიუსია $R = \frac{29x}{2}$, ხოლო ჩახაზულია $\frac{20x + 21x - 29x}{2} = 6x$, $R - r = 17$. ე.ი. $x=2$.

54. ტოლფერდა ტრაპეციის ფუძეები 36 სმ და 100 სმ, ე.ი. ფუძეების ნახევარსხვაობა 32 სმ-ია. ფერდი კი $\frac{100 + 36}{2} = 68$ სმ. სიმაღლეს ვიღებთ 60 სმ, ე.ი. $R=30$ ს.



55. $\frac{a^2}{b^2} = \frac{a^1}{b^1} = \frac{9}{16} \Rightarrow \frac{a}{b} = \frac{3}{4}$

$a=3x \quad b=4x \quad c=5x=25 \Rightarrow x=5$

$$r = \frac{3x + 4x - 5x}{2} = x = 5$$

56. $3x \cdot 8x = 12 \cdot 18 \Rightarrow x = 3$ ქორდის სიგრძეა $3x+8x=11x=33$.

57. ამ წერტილის დიამეტრის ბოლოებთან შეერთებით მიიღება მართკუთხა სამკუთხედი:
 $h^2=3 \cdot 12 \Rightarrow h=6$.


58. მხების სიგრძე აღვნიშნოთ x -ით. $x^2=2x(x-5) \Rightarrow x=10$.

59. მხები აღვნიშნოთ x -ით, ამოცანის პირობიდან გარე მონაკვეთი იქნება $\frac{a-x}{2}$,


ე.ი. $x^2 = \frac{a-x}{2}a$.

$2x^2+ax-a^2=0 \quad x^2+2 \cdot \frac{a}{4}x + \frac{a^2}{16} - \frac{9a^2}{16}=0 \quad \left(x + \frac{9}{4}\right)^2 = \frac{9a^2}{16}$, საიდანაც $x=\frac{a}{2}$.


60. მხები - x . მკვეთის შიგა და გარე მონაკვეთები შესაბამისად იქნება $x-2$ და $x-4$. მივიღეთ:
 $x^2=(x-4)(2x-6)$, საიდანაც $x=12$.




61. მკვეთის სიგრძე აღვნიშნოთ y -ით. მივიღეთ $(30-y)^2=(2y-28)y$, საიდანაც მივიღებთ $y^2+32y-30^2=0$, $y=18$, მხების სიგრძე იქნება 12. ნახაზია ასაგები 30-y 28-y 2y-28



62. $x^2 = (x-2)(15-x)$
 $2x^2 - 17x + 30 = 0$
 $x = \begin{cases} 5 \\ 2 \end{cases}$;
 6 ;





63. $3x \cdot 5x = 5 \cdot 12$, საიდანაც $x=2$, მკვეთის სიგრძეა $5x=10$.



64. $mx(a+mx)=nx(b+nx)$.
 $x = \frac{am - bn}{n^2 - m^2}$.

65. $CB = 3x = 9 \Rightarrow x=3$
 $S = 6 \cdot 9 = 54$




66. ΔABC მართკუთხაა, ე.ი. $h^2 = 2\sqrt{5} \cdot 8\sqrt{5} = 80$.

$$67. \frac{AB}{AC} = \frac{8}{10} \Rightarrow \frac{AB}{AC} = \frac{4x}{5x}$$

$$\triangle ABD \Rightarrow \frac{4x}{8} = \frac{3}{2} \Rightarrow x = 3$$

$$AB=12; AC=15; BC=18.$$



68. $AO=OB=OC=OD=R$ $\angle AOD=\angle BOC$ (ვერტ.) ე.ი. $\triangle AOD = \triangle BOC \Rightarrow AD=BC$.

69. $\triangle BCO$ ტოლგვერდაა. $\angle B=\angle C \equiv \alpha \Rightarrow \angle 2=2\alpha$ (როგორც გარე კუთხე).

70. O წერტილი შევავერთოთ C, D, A, B წერტილებთან. $\triangle OCD = \triangle AOB \Rightarrow OK=OP$

71. $OD=OC=r$ $OA=OB=R$ $\angle AOD=\angle COB$ (ვერტ.) $\Rightarrow \triangle AOD = \triangle COB \Rightarrow AD=BC$.

72. $\angle AOB=\angle BOC \Rightarrow \overline{AB} = \overline{BC} \Rightarrow AB=BC$.

73. განვ. $\triangle BOA$ და $\triangle COF$.

$$BE=CF; OE=OF=OC=OB=k \Rightarrow \triangle BOA = \triangle COF \Rightarrow CD=BA.$$

74. $\triangle OAC$ -ში OB მედიანაა და სიმაღლე, ე.ი. $\triangle AOC$ ტოლფერდაა $\Rightarrow AO=OC$.

75. O წერტილი შევავერთოთ B და C წერტილებთან. $OB \perp AB$ და $OC \perp AC$:

$$\triangle AOB = \triangle AOC \Rightarrow AB=AC.$$

76. D წერტილი შევავერთოთ A და C წერტილებთან. $\triangle ADB = \triangle BDC \Rightarrow AD=DC$.

შეამოწმე შენი ცოდნა:

1. ბ; 2. გ; 3. გ; 4. ბ; 5. დ; 6. გ; 7. დ; 8. ბ; 9. ა; 10. ბ; 11. ა; 12. ა; 13. ბ; 14. ბ; 15. გ.

III თავი

თემატური მატრიცა

თავი 3 - გეომეტრიული გარდაქმნები. ფუნქცია. ფუნქციის თვისებები - თემატური მატრიცა

<p>მიმართულება -გეომეტრია კლასი - მე-9 საათების სავარაუდო რაოდენობა - 8-10 სთ</p>			
<p>სამიზნე ცნებები/საკითხები: ანალიზური გეომეტრია, გარდაქმნები</p>			
<p>მაკროცნება: მოდელირება, ფორმა, კავშირი.</p>			
<p>სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები</p>	<p>საკითხი/ქვესაკითხები</p> <p>გარდაქმნები (ფუნქცია გამყოფა)</p> <ul style="list-style-type: none"> • ღერძული სიმეტრია • ცენტრული სიმეტრია • პარალელური გადატანა • ფუნქციათა თვისებები • წრფივი ფუნქცია 	<p>საკვანძო შეკითხვა / ზოგადი შეკითხვები</p> <ul style="list-style-type: none"> • შევიძლია თუ არა აღვწერთ ფიგურის გადაადგილება სიმეტრეზე გეომეტრიული გარდაქმნების გამოყენებით? 	<p>კომპლექსური დავალების პირობა / შეფასების კრიტერიუმები</p>
	<p>სამიზნე ცნება: ანალიზური გეომეტრია გარდაქმნები</p> <p>სტანდარტი შედეგები: მათ.საბ.2. 3.6.7.9.</p>	<p>ეტაპი I – კომპლექსური დავალების პირობის გაცნობა</p> <p>საკვანძო შეკითხვა: რას გულისხმობს შესასწავლი საკითხი? რა შემოქმედებითი პროდუქტის საშუალებით უნდა დავადასტურო, რა ვისწავლე ამ საკითხთან დაკავშირებით?</p> <p>მუშაობ ტურისტულ კომპანიაში, რომლის ერთ-ერთი მარშრუტი ეროვნული პარკის დათვალიერებას ითვალისწინებს. ეროვნული</p>	<p>კომპლექსური დავალება: თქვენი დავალება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. დაადგინეთ, რომელია უმოკლესი მანძილი კაფეტერიიდან A და B პლატფორმამდე. 2. გაითვალისწინეთ,

